ეროვნული ბიბლიოთეკა

ვიმეორე

1927 სახელგამი № 20

ეროვნული ბიბლიოთეკა

საუბარი ჩვენი ჟურნალის მკითხველებთან.

ჩვენს ჟურნალში ხშირად იწერება, რომ საჭიროა გავამრავლოთ „პიონერის“ ტირაჟი, რომ თითოეული პიონერი უნდა კითხულობდეს თავის ჟურნალს, რომ ჟურნალის თითოეული მკითხველი ამავე დროს უნდა იყოს მისი გამავრცელებელიც. ჟურნალის ხელმომწერთა რიცხვი ყოველ შემთხვევაში ჩვენს ბავშთა კომუნისტურ ორგანიზაციაში მყოფ პიონერთა რაოდენობას უნდა უდრიდეს და, რამდენადაც შესაძლებელია, მას უნდა იწერდენ შეუკავშირებელი ბავშებიც. აი რა უნდა იყოს დღეს ჩვენი ლოზუნგი, რომლის განხორციელებაშიც ენერგიული მონაწილეობა უნდა მიიღოს ყოველმა ბავშმა. ამიტომ თითოეულმა ხელმომწერმა უნდა შესძლოს გამოაწერინოს სხვებს (ორს, სამს ან ხუთს, ან კიდევ რამდენსაც შესძლებს) ჟურნალი. ჟურნალის გამოსაწერად ფულს ყოველთვის იშოვის ბავში. შეიძლება რამოდენიმე დღეს ხილში ან რაიმე ამის მსგავსში არ დავხარჯოთ ფული და ის გადავდოთ ჟურნალის გამოსაწერად.

ხელმომწერთა გამრავლებისათვის კარგი იქნება ჩავატაროთ რგოლში, კოლექტივში ან სკოლაში კონკურსი, თუ ვინ უფრო მეტ ჟურნალს გამოიწერს!

თითოეულმა პიონერმა თვალყური უნდა ადევნოს, რომ ჟურნალი იყოს მის სკოლაში, მუშათა კლუბში, ქოხ-საკითხველოში და სხ.

მრავალ კოლექტივში არიან ახლა გამოყოფილი ბეჭდვითი სიტყვის რწმუნებულები. საჭიროა, რომ ყოველ კოლექტივში, სკოლაში იყოს გამოყოფილი ასეთი რწმუნებული. ის უნდა ზრუნავდეს გაამრავლოს ხელმომწერთა რიცხვი თავის კოლექტივში ან სკოლაში და აგრეთვე თვალყური ადევნოს, წესიერად იღებენ თუ არა ისინი ჟურნალს. ხშირად ხდება, რომ პიონერი გამოიწერს ჟურნალს, გადის ორი-სამი თვე და ჟურნალი კი არ სჩანს. ამ შემთხვევაში რწმუნებულმა ეს უნდა აცნობოს რედაქციას.

დიდი სარგებლობის მოტანა შეიძლება ჟურნალის ხშირად მოწყობილი გასამართლებებით. ეს მის სასარგებლოდ აგიტაციის ერთ-ერთი საუკეთესო ფორმაა.

მაგრამ არა მარტო ბავშები უნდა ზრუნავდენ ჟურნალის გავრცელებაზე, არამედ კედლის გაზეთებიც უნდა უწყობდეს ხელს ამ საქმეს. ამისათვის კარგია კედლის გაზეთის თითოეულ ნომერში მოვათავსოთ ლოზუნგი: „ხომ არ დაგავიწყდა შენ ხელის მოწერა ჟურნალ „პიონერზე“ და სხვა. საჭიროა აგრეთვე იმაში მოვათავსოთ წერილები ჟურნალის შეფასების, მისი ნაკლის და მიხწევების შესახებ. ამგვარად კედლის გაზეთი უნდა იყოს გამავრცელებელი თავისი უფროსი ამხანაგის—ნაბეჭდი ჟურნალის.

კოლექტივებში არის ცოცხალი გაზეთიც. საჭიროა ცოცხალი გაზეთის თითოეულ ნომერში მის განცხადების განყოფილებაში ან სხვაგან მოვაწყოთ ინსცენირობა ჟურნალის ლოზუნგების, ცალ-ცალკე შენიშვნები, მისდამი პიონერთა მოპყრობა და სხვა.

ჩვენ აქ ჩამოვთვალეთ ჟურნალის გავრცელების მხოლოდ ზოგიერთი საშუალება.

საჭირო და აუცილებელია, რომ თითოეულმა პიონერმა კარგად გაითვალისწინოს ის ამოცანები, რომელიც დაკავშირებულია ჟურნალის გავრცელების საქმესთან.

თითოეული პიონერის ამოცანაა ხელი შეუწყოს, რომ ჟურ. „პიონერი“ ჰქონდეს კოლექტივებს, სკოლებს და შეუკავშირებელ ბავშებს.

შ ი ნ ა ა რ ს ი:

1. როგორ დაიღუპა პეტო — **მ. კეკელიძის** . . . 2
2. პატარა მებრძოლი — **კ. ლორთქიფანიძის** . . 3
3. ხუთი მდინარის სათავეში — **ნ. კეცხოველის** . 8
4. აფეთქება—პიესა — **ნ. შჩერბაკოვის და სმირნოვის.** 13
5. რა ვიკითხოთ 18
6. პიონერ - ორგანიზაციის საკავშირო შემოწმება დაიწყო 19
7. როგორ უნდა წაიკითხოთ წიგნი? — მასწავლებელის 21
8. ოქტომბრის ზეიმი — **სიტყვები კ. ლორთქიფანიძის, მუსიკა ა. ფარცხალაძის** 23
9. საუბარი ჩვენი ჟურნალის მკითხველებთან. } კანზე
10. როგორ ემზადება ინგლისი ომისათვის. . } კანზე

329.15ᲨᲘ(05)
ᲨᲘ-47
ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ
ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝ ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘ

მუშათა კლასის საქმისათვის იქაჯ მხად!

პიონერი

1927
1 ნოემბერი

განათლების სასალხო კომისარიატის სოციალური აღზრდის მთავარმართველობის და საქართველოს მ. ვ. ო. ცენტრალური მიმართოს (საქ. ა. ლ. კომკავშირის ცეკასთან) ქურნალი მაგზომისათვის

წელიწადი II
№ 20

ᲰᲐᲛᲑᲣᲠᲒᲘᲡ (ᲒᲔᲠᲛᲐᲜᲘᲐ) ᲞᲘᲝᲜᲔᲠᲔᲑᲘᲡ ᲙᲚᲣᲑᲘ. ᲢᲐᲠᲓᲔᲑᲐ ᲡᲐᲣᲑᲐᲠᲘ ᲝᲥᲢᲝᲛᲑᲠᲘᲡ ᲠᲔᲕᲝᲚᲣᲪᲘᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეს იყო ოქტომბერში.

პეტროგრადის ერთი ნესტიან სახლიდან ლაპარაკი მოისმოდა:

— წამიყვანე, ვასილ,—ამბობდა ერთი.

— არა,—მოუჭრა სიტყვა მეორემ.

ესენი ძმები იყვნენ—25 წლის ვასილი და 13 წლის პეტო. უფროსს ხელში ვინტოვკა ეჭირა. ტყვიებით სავსე პატრონტაში წელზე ერტყა.

პეტროგრადის ქუჩები სანგრებით იყო მოფენილი. ჩახერგილ ქვაფენილებს მუშათა პატრულები დარაჯობდა.

ღამეა. დილით ისინი მოწინააღმდეგის იერიშს ელიან. მათ დასახმარებლად მიდის ვასილი—მალალი და ჯმუხი შეხედულების.

ოთახში ლამფა ბჟუტავს. ფერმკრთალმა სინათლემ გაანაცრისფრა კედლები, თითქოს შიშით ყოფილიყოს აღსავსე.

— მე ვერ გავჩერდები მარტო,—ამბობს პეტო.

— შენ ბავში ხარ,—ღაპასუხებს ძმა.

— მე მეშინია აქ.

— მატყუებ. შენ შინ დარჩები.

ვასილი მიდის საბრძოლველად, პეტო კი შინ რჩება, ჩაკეტილ ყუთში. ვერ გაჩერდება პეტო აქ, ვერა.

ვინ იცის, გარეთ რა ამბავი ხდება! ვასილი ღამის სიბნელემ შთანთქა. პეტომ დაიხურა ქუდი და ისიც შავ წყვდიადში დაიკარგა.

— ამხანაგებო,—ამბობდა წინამძღოლი.

— გისმენთ, ამხანაგო, — ერთხმად უპასუხეს შეიარაღებულმა მუშებმა, გარუჯულებმა და თოფის წამლით გაშავებულებმა.

— ამ შენობას ხომ ხედავთ?

თანხმობის ნიშნად ყველამ თავი დააქნია.

— ის თეთრების ხელში და ზედ მათი დროშაა აღმართული. ჩვენ უნდა ავიღოთ ის. მაგრამ ჯერ საჭიროა გავიგოთ, რამდენი ჯარისკაცია შენობაში. ვინ წავა დასაზვერავად?

— მე,—და უცებ წინ წამოდგა პეტო.

— ბავშო, ვინ მოგიყვანა აქ?

— არავინ. ჩემით მოვედი. მე მივდივარ იქ.

წინამძღოლი ღიმილით შეეკითხა:

— შეგიძლია გამიგო, რამდენი ჯარისკაცია?

— ვეცდები გავიგო,—მოკლედ მოსჭრა პეტომ და გასრიალდა შენობისაკენ. მას კვალდაკვალ გაჰყვა ერთი მებრძოლი მუშა.

— ერთი, ორი, სამი, ოთხი, ხუთი. აგერ მეექვსე, მეშვიდე,—ითვლის ფანჯარაზე მიკრული პეტო. ალმაცერად იყურება ოთახებში. დარაჯი რამდენიმე საჟენის მოშორებით უვლის გარშემო შენობას. საკვირველია, როგორ გამოეპარა ფხიზელ დარაჯს. ღამის სიბნელემ უშველა, ალბათ. პეტომ ყველა ოთახში შეიჭვრიტა, ყველა დაითვალა.

სულ 23 ჯარისკაცია.

დავალება შეასრულა. დაბრუნდა და ეს ცნობა თავის თანმხლებელ მუშას დაწვრილებით გადასცა.

თითონ კი გადასწყვიტა წითელი დროშის აღმართვა.

— თეთრების დროშას ჩამოვხსნი და ჩვენების ბანაკში მოვიტან. როგორ გაეხარდებათ! მაშინ ბავშად არ ჩამთვლიან.

პეტო მივიდა წვიმის წყლის სადენ მილთან და დაიწყო ზედ აცოცება.

ფიქრობს რაღაცებს, ბუტბუტებს გაურკვეველს.

ის სახლის სახურავზეა.

ფრთხილად მიდის დროშასთან, ჩამოფხრიწა ის და თავისი წითელი ხალათი მიამაგრა ზედ.

სმენად გადაიქცა. ხმამაღლა ლაპარაკს მოჰკრა ყური.

წყლის მილს მოეპიდა და დაიწყო ძირს ჩამოცოცება.

— ეგრე, ამხანაგებო, შეუტიეთ მაგათ.

— ბუჰ, ბუჰ! ჰო, ასე! შენობა ჩვენი იქნება მალე.

— ერთი კიდევ, ერთი მაგრად.

ერთი შეტევა—და მუშათა შეიარაღებულმა ძალამ სახლი დაიკავა. ეს იყო ის რაზმი, რომელმაც პეტო დასაზვერავად გამოგზავნა.

დილით, როცა მტრედისფრად ინათა და საგნების გარჩევა გაუჭირვებლად შეიძლებოდა, მუშებმა შენობის მოშორებით შეამჩნიეს სისხლით მოსვრილი პეტოს გვამი. მკერდში გავლილ ტყვიას მისი ზურგი ფართოდ გაეგლიჯა.

დარაჯს ის ჩამოსვლის დროს მოეკლა.

პეტოს აღმართული დროშა კი შენობაზე ნელა ირხეოდა.

მ. კეკელიძე.

ეროვნული ბიბლიოთეკა



პატარა მებრძოლი

(ფურცელი წარსულიდან)

მოულოდნელი სტუმრები.

კარებთან კაკუნი მოისმა.

— შეიძლება მამაა?

— შეიძლება საშინელმა წვიმამ და სიცივემ შემთხვევითი მგზავრი მოაგდო კარებთან!

ღამის თორმეტი საათია

მამა, არის შემთხვევები, უფრო გვიანაც ბრუნდება შინ.

არაფერი არ არის აქ შემაშფოთებელი!

მაშ რა ემართება დედას!

რათ აუკანკალდა ხელები და აგვიანებს კარების გაღებას?

აქეთ-იქით იცქირება, თითქოს ვიღაცას ეძებს, რომ შველა სთხოვოსო.

ასე ფიქრობდა ერთ წვიმიან ღამეში ლოგინში მწოლი პატარა რეზო.

ტკბილი ძილი რაღაც ხმაურობამ დაურღვია.

თვალები დააჭყიტა და საბნიდან თავი გამოჰყო.

პირველი, რამაც მისი ყურადღება მიიპყრო, ეს კარებზე კაკუნი იყო, რომელიც დროგამოშვებით და ჯიუტობით მეორდებოდა.

დედა გაიღვიძა.

დედამ კარების გაღების მაგიერ შფოთვა დაიწყო, ღელავდა.

აი ეს აკვირვებდა რეზოს.

როცა კაკუნი კიდევ განმეორდა, დედა უფრო შეწუხდა.

მაშინ რეზომ ვერ მოითმინა და ჩურჩულით შეეკითხა:

— დედი, რატომ არ აღებ კარებს? გინდა მე ავდგები!

დედამ პასუხის მაგიერ ტუჩებზე ხელის მიფარებით ანიშნა, რომ გაჩუმებულიყო.

ფრთხილად გავიდა მამის ოთახში, თოფი გამოიტანა და ბუხარში, ქვაბის ჩამოსაკიდებელ თაროზე, შემალა.

მაგიდის უჯრიდან ქაღალდები ამოიღო და ნაღვერდალში გაახვია.

ყოველივე ამას დედა დიდი სიფრთხილით აკეთებდა.

ოღროჩოღრო იატაკის ფიცრები თუ ფეხის დადგმაზე აჭრიალდებოდა, დედა მაშინვე გაქვავდებოდა და კარებისკენ გააყურებდა.

როცა ყველაფერს მორჩა, რეზოს ანიშნა ლოგინიდან ადგომა.

— მეორე ოთახში გაიხმო, ნაწყვეტ-ნაწყვეტად და აჩქარებული ხმით უთხრა:

— რეზო, გარეთ პოლიციელებია! მამაშენს ეძებენ, აქ როცა ვერ ნახავენ, მაშინ დაუდარაჯებენ მის მოსვლას; გაიქეცი ჩქარა თედოსთან, ამ ღამით იქ კრება აქვთ; ნახე მამაშენი და ურჩიე, რომ ღამე სადმე სხვაგან გაათიოს; შინ ნუ მოვა, გესმის?

რეზომ დედის სიტყვებში ბევრი ვერც გაიგო, მაგრამ შვილის მგრძნობიარე გულმა იგრძნო მოახლოვებული უბედურება.

ეს საკმარისი იყო.

იმავე წუთში გამოაღო ფანჯარა და ღამის სიბნელეში გაქრა.

წვიმს.

ეზოში მუხლებამდე დგას ტალახი.

რეზოს პოლიციელებთან შეხვედრის არ ეშინია, რადგან კოკისპირული წვიმა და სიბნელე ყოველგვარ ხმაურს ფარავს.

ფრთხილად შემოუარა სახლს. ეზოში შემოსავალ ჭიშკართან რაღაც გუგუნი მოესმა.

თითქოს უზარმაზარი მხეცი წევს და ღმუის.

პირველი შიში დასძლია და ხელის ფათურით მიუახლოვდა.

თითებს ჯერ ცივი რკინა მოხვდა, შემდეგ ტალახში ამოსვრილი ბორბლები.

— ავტომობილით მოსულან! — გაიფიქრა რეზომ.

ამ დროს მათი სახლის კარები გაიღო.

კარებთან სანთელით ხელში გამოვიდა დედა.

პოლიციელებმა მკაცრად უსაყვედურეს დაგვიანებისათვის და ვიღაც იკითხეს.

შემდეგ დედა შეუძღვა მათ ოთახში და ხმები შეწყდა.

წვიმა ისევ ასხამს და კრიალებს ავტომობილის სახურავზე.

რეზომ შარვლის ტოტები აიკაპიწა და მოუსვა დანიშნული ადგილისაკენ

რეზო ასრულებს მოვალეობას.

თედოს სახლი, სადაც რეზო მიეშურებოდა, ქალაქის მეორე მხარესაა, მუშებით დასახლებულ უბანში.



რეზო გარბოდა დანიშნული ადგილისაკენ.

რეზოს მამა, რემონი, მთავარი სახელოსნოს მუშაა.

ამ უბანში ხშირად დაიარება კრებებზე.

ხან კი მათთან მოდიან და ლაპარაკობენ მუშების და მდიდრების შესახებ.

ასეთ შემთხვევებში რეზოს ჭიშკართან აყენებენ მზვერავად.

თუ პოლიციელი გამოჩნდება, რეზო ამაზე დასტვენს და ამით შეატყობინებს პოლიციელის მოახლოვებას.

უკანასკნელ ხანებში რეზო ამჩნევს, რომ კრებები გახშირდა.

გაჩნდა თოფები და სხვა იარაღი.

მამის ამხანაგები ახლა უფრო ჩაფიქრებულნი დადიან.

მოაქვთ თოფები და ამომშრალ ჭაში, რომელიც სახლს უკან არის, ინახვენ.

რეზომ კარგად არ იცის, თუ რად არის საჭირო ის თოფები.

მამა ხშირად ესაუბრება მას მუშების მდგომარეობის შესახებ.

განა თითონაც ვერ ხედავს.

რამდენჯერ ულუკმაპუროდ დარჩენილა მათი ოჯახი მდიდარი მექარხნის წყალობით.

სიყრმიდანვე ჩანერგილია რეზოს გულში ღიპგასიებული მდიდრებისადმი სიძულვილი.

რეზომ იცის, თუ რატომ სდევნიან პოლიციელები მამას!

მიჰქრის და უხარია, რომ შეუძლია მამისათვის დახმარების გაწევა.

განა დახმარება არ არის, რომ დაჭერას გადაარჩინოს ის და მასთან მყოფნი?!

ამ ფიქრებში გართულს უკნიდან გუგუნი შეემოესმა.

მოიხედა.

შორს სიბნელეში ორი დიდი მბრწყინავი თვალი შეამჩნია, რომელიც თანდათანობით ახლოვდება

— ის ავტომობილია, უთუოდ, ჩვენგან წამომოსულა; სად მიდიან, ნეტავი? — გაუელვა თავში.

ფეხს აუჩქარა. ხიდზე ცივა; ორმაგი ქარი უბერავს და სუსხავს მის სხეულს.

საყელოში ჩამალა ცხვირი და ტრამვაის პარკისკენ შეუხვია.

სული მოითქვა და დააყურა.

წვიმის ხმაურის გარდა არაფერი ისმის.

დამშვიდებულმა განაგრძო გზა.

ათიოდე ნაბიჯის გადადგმაც ვერ მოასწრო, ისევ ნაცნობი გუგუნი გაიგონა.

— სანაძლეოს დავდებ, თუ ეს ავტომობილი თედოს სახლისკენ არ მიდის! რაკი მამის კვალს მიაგნეს, არც თეთო დარჩებოდა შეუმჩნეველი!

ეს აზრი უფრო გაუმტკიცდა, როცა ავტომობილმა ტრამვაის პარკისკენ მიუხვია და მისკენ გამოეშურა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— იქვი არ არის, იქ მიდიან, ყველას დაიჭერენ! რა ვქნა? რა მოვიგონო? ავტომობილი მიმასწრებს...

თითისტარივით დაბზრიალდა რეზოს თავში ფიქრები.

თედოს სახლამდე მოკლე გზაც არის.

ვიწრო ქუჩებით და რკინის გზის ლიანდაგით, სადაც ავტომობილი ვერ გაივლის, შეუძლია გზის შემოკლება, მაგრამ მიასწრებს?!

ფიქრი და არჩევანი დაღუპავს საქმეს.

მუშტები მოკუმშა და მთელი ძალ-ღონით მოწყდა ადგილიდან.

წვიმს, სიბნელეში უძნელდება სწორი გზის ამორჩევა. ვიწრო, მიხვეულ-მოხვეული გაუნათებელი ქუჩებია.

ხან რას დაჰკრავს ფეხს, ხან რას წამოედება.

არაფერია, არ იმჩნევს ტკივილს.

მიჰქრის და მიჰქრის. ავტომობილი თვალიდან დაჰკარგა, არც მისი საყვირის ხმა ისმის.

ვიწრო ქუჩები რკინის გზის ლიანდაგამდე მიდის.

შემდეგ ლიანდაგის გასწვრივ იწყება მთავარი ქუჩა, რომელიც სადგურის ახლო სჭრის ლიანდაგს და შედის მუშურ უბანში.

აი, ამ მთავარ ქუჩასთან მიეწია ოფლში მცურავ რეზოს ავტომობილი.

სანამ ავტომობილი მთავარი ქუჩიდან მოივლის, რეზო პირდაპირ გადასჭრის ლიანდაგს, რონოდების ქვეშ გაძვრება და გზას შეამოკლებს.

მაგრამ შემდეგ? შემდეგ რა ჰქნას? კვლავ დაეწეკა ავტომობილი.

მიჰქრის პატარა, ხტუნავს ლიანდაგზე, ებღაუჭება გაციებული რონოდის რკინებს.

ლიანდაგის იქით კი მიჰქრის რკინის ცხენი, გუგუნებს და თითქოს უყვირის რეზოს: „გაჯობებ, გაჯობებ!“ ცე ახლი ედება რეზოს ბუხლებში. გაათავა ლიანდაგი და გადავიდა მთავარ ქუჩაზე.

მაგრამ ამაოა ყველაფერი; ავტომობილი მიუახლოვდა ლიანდაგს და წუთით უკლო სირბილს.

გასცდება ლიანდაგს და ისევ გამოქანდება ელვის სისწრაფით... ყველას დაიჭერენ, ყველას! ცრემლები წასკდა; მუხლი მოეკეცა. ფარანის ბოძს მიეყრდნო და უნუგეშოდ მიიხედ-მოიხედა.

ავტომობილი უახლოვდება, საცაა ჩაიქროლებს მის წინ და მხიარული გუგუნით აგრძნობინებს რეზოს დამარცხებას.

უეცრად თვალები გაუბრწყინდა.

გვერდით, სადაც დამტვრეული რონოდების ნაწილები ჰყრია, კირის სათრევი ხელის ჯაგვი შენიშნა.

რეზო გაიმართა, თითქოს მხრებიდან ტვირთი ჩამოაცალეს, ჯაგვს ხელი დაავლო, სწრაფად შეაღა ქუჩაში გაათრია და სიგანეზე გადო.

ახლაც გამასწრებ? სანამ თქვენ გზას გასწმენდდეთ, მე უკვე კრებაზე გავჩნდები!—ჩაილაპარაკა კმაყოფილებით რეზომ და მოჰკურცხლა.

თედოს ბინაზე.

ოთახი სავსეა მუშებით.

სქელი თუთუნის ბოლი დასცურავს ჰაერში.

ილაპარაკა რემონმა.

ლაპარაკობენ სხვებიც.

— არავითარი დათმობა!

რეზომ ქუჩაზე ჯაგვი და რონოდის ნამტვრევები გადო.

— ზეგ იარაღით გადავწყვეტთ ყველაფერს!

— კმარა მოთმენა!

მუშების სახე გაწითლებულია, თვალებში რისხვა ეტყობათ.

— იარაღი ხომ საკმაოა?

— არის.

— ლითონების ჩამომსხმელი ქარხნის მეთაური?

— არის.

— რკინის გზის საყუდში?

— არის.

— რა გვაკლია?

ეროვნული ბიბლიოთეკა

— შეერთებული ძალებით ბრძოლის დაწყება, მეტი არაფერი.

— დავიწყებთ!

— დავიწყებთ!

— ინანონ მტრებმა, რომლებმაც გამოსწოვეს სისხლი ჩვენს სხეულს.

ხმები მედგარი.

ხმები თავგანწირვის;

ხმები ქარიშხლის მომასწავებელი.

კარები იღება, შემორბის რეზო.

— თავს უშველეთ, პოლიცია...

წამდაუწუმ ტელეფონთან მიდის, ჰყვირის, მაგრამ რამ პასუხი არ არის.

სიბრაზისგან ტუჩებს იკვნეტს.

შორიდან კანტიკუნტად ახლოვდება სროლის ხმები.

გაფითრებული შიკრიკი შემორბის.

— რა ამბავია? რატომ არ პასუხობს ცენტრალური სადგური.

— ბატონო უფროსო, სადგური ოცი წუთის წინათ დაიკავეს წითლებმა, ამბოხება მთელ ქალაქს მოედო! ახლა აქ მოეშურებიან!

ბავშთა ბაგა კორეის სოფელში.

ქრება სანთელი. ცარიელდება ოთახი და რამოდენიმე წუთის შემდეგ ავტომობილიდან გადმოსულ პოლიციელებს ხვდებიან აყეფებული ძაღლები და დაცარიელებული ოთახი.

იმედგაცრუებული პოლიციელები უკმაყოფილოდ ბრუნდებიან უკან და იფშვნეტენ სიცივით გათოშილ ხელებს.

ორი დღის შემდეგ.

შუალამეა.

პოლიციის უფროსი ღელავს.

— რაო?

დაიღრიალა პოლიციის უფროსმა. მოიხედა, თითქო უნდა ვინმე ისეთი ნახოს, რომელსაც შეეძლოს ამ შიკრიკის ნათქვამის უარყოფა, მაგრამ გამოჭიმული შიკრიკს გარდა ვერავინ ნახა.

— ეხლავ გასწი, ცხენოსან ყაზახებს გამოუძახე; არ დაზოგოთ ვაზნები... ესროლეთ, დაჩეხეთ... ჩქარა!

შიკრიკი გარბის.

ხმაურობა და სროლის ხმა თანდათან ახლოვდება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოედანი, რომელიც პოლიციის სამართველოს წინ მდებარეობს, შეიარაღებულ მუშებით ივსება. ზოგი კასრებს მართავს, ზოგს ფიცრები მოაქვს. მოაგორებენ ეტლებს, ჯაგვებს, ფურგუნებს და ყველაფერს ერთად შუა მოედანზე აგროვებენ. აწყობენ ბარიკადებს.

პოლიციის უფროსი გაფითრებული სდგას ფანჯრის მინებთან.

იზრდება ბარიკადები. სულ უცხო და უცნობი სახეებით ივსება მოედანი.

იძახიან:

— ძირს მეფის მთავრობა!

— ძირს მცარცველები!

— ძირს მონობა!

მარცხენა მხრიდან ცხენოსანთა რაზმები გამოჩნდა. მიჰქრიან ბარიკადებისაკენ შუბმოღერებულნი.

ბარიკადების მცველი მუშები პირველად შეკრთენ, გაიფანტენ.

— მუხლებზე... ცეცხლი! — გასცა ბრძანება რემონმა.

მაშინ შეერთდენ, შეიკუმშენ და ტყვიებს ზუზუნით შეხვდენ ცხენოსანთა იერიშს. რამდენიმე მხედარი გადმოვარდა. დანარჩენები მაინც არ შეჩერდენ, ისევ განაგრძეს სვლა.

— წინ, წინ, — დაიყვირა ვიღაცამ და შეიჭრა ცხენოსანთა რაზმში. მას მიჰყვენ სხვებიც.

ყველაფერი ერთმანეთში აირია.

ტყვიის ზუზუნისა და ხმალთა კრიალის გარდა არაფერი ისმის.

— არ დაინდოთ არავინ! — ღრიალებს კაბინეთში პოლიციის უფროსი.

— დანარჩენ უბნებში უარესი ამბები ხდება, ბატონო უფროსო! ქალაქის მართველობა და არსენალი დააცლევინეს ჩვენებს. რამდენიმე ჯარის ნაწილმა გვიღალატა, წითლებს მიემხრო! ზოგიც უარს ამბობს ბრძოლაზე! — ეუბნება შიკრიკი ცოფმოყრილ უფროსს.

— გამოიძახეთ პოლიციის საგანგებო რაზმი!

ეს უკანასკნელი უშედეგო ბრძანებაა პოლიციის უფროსის. კარები იღება და მაღალი, მსხვილძარღვიანი მუშა ამბობს:

— რევოლუციონური კომიტეტის ბრძანებით დაპატიმრებული ხართ. გვიბოძეთ იარაღი!

მოედანზე მარტო აჯანყებულები სჩანან.

— ყაზახები, რომლებიც ცოცხალი გადარჩენ, გაიქცენ და თავს უშველეს; მთელი ქალაქი წითლების ხელშია! — ამბობს ერთი მუშათაგანი

უეცრად ოთახში მყოფთა ყურადღება მოედანზე გამოჩენილმა ახალმა რაზმმა მიიპყრო.

— კარები ღიაა; რევოლვერიც აქვე ძევს, ერთს ვისვრი, მოვახერხებ გაქცევას! — ფიქრობს პოლიციის უფროსი და ხელი რევოლვერისკენ გააპარა.

— უფრთხილდით! — დაიყვირა ვიღაცამ კარებში ეს რეზოა. ყველამ მოიხედა. თოფის კონდახის სწრაფი მოქნევა და უფროსის ხელიდან რევოლვერის ძირს დავარდნა ერთი იყო.

— ახალი რაზმი გამოჩნდა, თქვენთან გამომგზავნეს ჩვენებმა, — ამბობს რეზო.

— მივდივართ... თუ გაქცევას შეეცდებით, ტყვია არ აგცდებათ, — აფთხილებს პოლიციის უფროსს მაღალი მუშა.

დაცარიელდა კაბინეთი.

. . . . . .

თენდებოდა. სროლა შეწყდა.

ქუჩებში დადიოდენ წითელი რაზმები და ამშვიდებდენ შეშინებულ მცხოვრებლებს, ამყარებდენ წესიერებას.

ქალაქის მართველობის თავზე გამარჯვების ნიშნად წითელი დროშა ფრიალებდა.

კ. ლორთქიფანიძე.

ბავშვებო! ემზადეთ საქართველოს პიონერ-ორგანიზაციის არსებობის 5 წლის თავის დღესასწაულის ჩასატარებლად!

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხუთი მდინარის სათავეში

ბაწარას ხევი.

მთათუშეთში წასასვლელად ვერ ვიშოვეთ ცხენები. ალვანში გავუგზავნეთ კაცი ერთ ჩვენს მეგობარს, თუშს, გიორგის, შევუთვალეთ ჩვენი გაჭირვება და ვთხოვდით დახმარებას.

ალვანიდან ამბის გაგებამდე გადავწყვიტეთ ბაწარას ხევი დაგვეთვალიერებინა. ეს შესანიშნავი ხეობაა მთელ საქართველოში: აქ გადარჩენილა უძველესი, ათასწლოვანი უთხოვარის (ურთხმელა) ტყე. ასეთი ტყე საქართველოს აღარცერთ კუთხეში აღარ არის: ხალხმა დიდიხანია გაანადგურა და მოსპო, მაგრამ აქ, ამ მიყრუებულ ადგილას, გადარჩა.

სოფ ჯოყოლოდან ოთხი-ხუთი კილომეტრის დაშორებით, იქ, სადაც ალაზანს უერთდება მჩქეფარე და ანკარა ბაწარა ხევის წყალი, გზისთვის უნდა გადაგვეხვია და შევყოლოდით ხევს ტყის შესასწავლად.

მდინარის პირას ერთი ბრგე ფშაველი სდგას. გაკვირვებით გვიმზერს. სალამის შემდეგ თვითონ გვეუბნება:

— უთხოვრის ტყის სანახავად მოხვალთ, ალბათ, — და ეღიმება. მომეწონა მისი სანდომიანი სახე და ვთხოვე წამოგვყოლოდა: გზას გვაჩვენებდა, მუშაობა გაგვიადვილდებოდა. ის გადახტა მდინარის მეორე პირს, ქვა გადააბრუნა და ქალამნები გამოიღო.

— დილას შევინახე, ნამისგან დალბა, ფეხზე აღარ დგებოდა და ფეხშიშველ წაველ, აი იმ მთაზე, — მიმითითა ალაზან გალმა გორაკნი.

ბაწარას მარჯვნივ, სამხრეთისაკენ მოქცეულ ფერდობებზე, რამოდენიმე წაბლის ხე სდგას, რომლის ბაცი ფოთლები წიფლის მუქ ფერში მკვეთრად მოსჩანს.

მივდევთ ბაწარის ნაპირს და ხშირად გვიხდება გალმა-გამოლმა გასვლა. ორივ მხრივ ფერდობი, ულრანი ტყით დაფარული, ხეები ბარაქიანი და დოვლათიანი. აქ მთავარი ჯიშია წიფელი; ვეებერთელა, უზარმაზარი ხეები ცამდის ატყორცნილან თითქმის, მრავალი ხის დიამეტრი მეტრზე მეტია. არც საკვირველია, რომ აქაც წიფელი გვხვდება: საქართველოს ტყეებში თითქმის ორი მესამედი წიფელია, ჩვენი მთანი უმთავრესად მისი ტყით არის დაფარული და მასში სხვა ჯიშები თითო-ოროლად ერევა. აქაც ასევე, ათ-თორმეტ წიფელს შემდეგ შეგხვდებათ თელამუში, განიერფოთლება ნეკერჩხალი, ცაცხვი, მუხა, მდინარის ნაპირას კი განუწყეტლივ მურყანი, ფრიად სწრაფად მოზარდი ხე; აქა იქ მოსჩანს კაკლის ხე (ნიგოზი). ჯერაც გამორკვეული არ არის, კაკალი გაველურდა ჩვენს ტყეში, თუ სხვა ხეებსავით ისიც ძირეული ჯიშია! ვფიქრობ, ძირეული ჯიში უნდა იყოს, რადგან საქართველოს მრავალ კუთხეში, ფრიად უღრან და უსიერ ადგილებში, შემხვედრია, ისეთ ადგილებში, სადაც ადამიანი საცხოვრებლად იშვიათად მოჰხვდებოდა.

ამ უზარმაზარ ხეთა ჩრდილებში თავი შეუფარებია უფრო დაბალი ტანის ხეებს: აი, მაგალითად, დათვის თხილა, მას თავისი ტოტები წიფლის ქვედა ტოტებამდე აუტანია, დიამეტრი ზოგს ნახევარი მეტრიც აქვს, დათვის თხილას გარდა მრავალია ტყის თხილი, კუნელი, ჯახველი. მათ ჩრდილებში კიდევ უფრო დაბალი და პატარა ბუჩქები — იელი, ზოგან მოცვიც, ჟოლო. შემდეგ მიწას გართხმია ბალახი: წებოვანა, ბორხვენა, გვიმრა და მათ ძირში კი მიწას გაჰკვრია ხავსი.

ყველას თითქოს ხელი ხელს ჩაეკიდოს და ურთიერთისათვის მარადი ძმობა შეეფიცოს, ერთად ვიცხოვროთო.

მაგრამ რა ძმობა უნდა ჰქონდეს ჯახველის პატარა ბუჩქს და ამ უზარმაზარ მუხას? აი, თუნდაც მიწაზე გართხმულ ხავსს? — ვუცქერ და ასე ვფიქრობ. მაგრამ აი თითქოს შეინძრენ ეს ბუჩქები, თითქო ხმა ამოიღეს და მეუბნევიან:

— რომ იცოდე, რა დიდი ძმობა გვაქვს! ხომ იცი, მუხას ჩვენ ვაძლევთ საცოცხლეს, მუხას ვიფარავთ, ვინახავთ, მუხაც ჩვენ გვშველის...

— როგორ, რანაირად? — ვეკითხები ფიქრითვე.

— როგორ თუ რანაირად! აი, დავარდა მიწაზე რკო, მუხის ნაყოფი. მას ბევრი მტერი ჰყავს: ციყვი, რომელიც ამ ტყეშიც ბევრია, შინაური და

გარეული ღორი, სხვა ცხოველი და ფრინველი, მათ თვალისაგან რკოს ხავსი იფარავს თავის პატარ-პატარა ფოთლებით, გარდა ამისა, ხავსი სინესტეს არ აკლებს, მზის ცხოველი სხივები რკოს გამოაშრობდა, მოჰკლავდა. აი, ამოვიდა რკო, განვითარდა, პატარა ტოტები და ფოთლები გაიკეთა. ჯერ იგი მეტისმეტად ნორჩია, მას ადვილად გაფუჭებს სეტყვა, ადვილად მოჰკვნეტს საქონელი. ამიტომ მას ჩვენი ტოტები იფარავენ და ჩვენს ბუჩქში იზრდება ნელა, მაგრამ, აი, ასცდა ჩვენ ტოტებს, იგი თითქმის დავაჟკაცებულია, სწრაფად იწყებს ზრდას და მალე მის ტოტებ ქვეშ ჩვენ ვექცევით. მუხას ახლა აღარ ეშინია არც სეტყვის, არც მოუსვენარი თხის. სამაგიეროდ ახლა მას შეუძლია დაგვიფაროს ქარისა და სეტყვისაგან, მზის მეტისმეტი ცხოველი სხივებისაგან...

— მართალია, მართალი, — მეუბნევა ათასი ბუჩქი.

— სწორეს ამბობს, — ჩამოძახა ზევიდან მუხამ დინჯად და დარბაისლურად. მე მისი ტოტებისკენ ავიხედე... ველზე გავსულიყავით. პატარა ფერდობი მწვანედ ბიბინებდა, გარშემო ტყე ჰქონდა შემოვლებული ულამაზეს ღობესავით. ველის ერთ კუთხეში რამოდენიმე ქოხი სჩანდა, საიდანაც დინჯად და ზანტად ადიოდა ბოლი. ჩვენ მხარეს კი საქონელი გაშლილიყო და ნოყიერ ბალახს სძოვდა. ჩვენს დანახვაზე, თითქოს ციდანო, გადმოგვეფინა ხავი თეთრი ძაღლი და გრგვინვა-ქუხილით გამოექანენ. „ასგამ, თოლია, ჰაჰაუ!!" — გაისმა რამოდენიმე წკრიალა ხმა და გრძელჯოხიანი ბალღები გაჩნდენ ჩვენსა და ძაღლებს შორის. ბანალაბურძგნული ძაღლები ღრენით მოგვცილდენ, ბალღები კი მხიარულად მოგვესალმენ.

— მშვიდობით მოსულხარ, ალექსო, შენი მგზავრებით, — ხელი ჩამოართვეს ჩვენს გამყოლს.

— თავათ ხომ კარგად, სახლით, დედ-მამით, ძროხით, ცხვარით? — უპასუხა ალექსიმ.

— მადლობელი, კარგად. წავიდეთ სახლში, ნაგზავრ ხართ, დაისვენეთ, — გაგვიპატიჟა ოორმეტი წლის ლურჯთვალება ბიჭმა სახლისკენ. უარი ვუთხარით, მადლობა, და იქვე ხის ქვეშ ჩავიკეცეთ შესასვენებლად.

ესენი ფშავლები არიან, სამი კომლია ამ ულრან ტყეს შემოხიზნული, ფშავეთიდან. თხუთმეტი წელია, რაც გადმოსახლდენ და აქ ცხოვრობენ მარტოდმარტო ცისა და ტყის ანაბარად. ჰყავთ ძროხა, ცხვარი. ყველს და ერბოს ჰყიდიან, წლით წლობით მით გამოდიან.

მწყემსი ბალღებიც ჩვენთან ჩამოსხდენ.

— გიგია (უფროსს ერქვა), რას აკეთებ, იცი წერა-კითხვა?

საბჭოთა კავშირში მყოფ ინგლისის პიონერებს მოსკოვის პიონერებმა გამოსამშვიდობებელი მიტინგი გაუმართეს; მოსკოვის პიონერებმა მათ გადასცეს დროშა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ჰაი,-ჰაი რომ ვიცი.

— სად ისწავლე, სკოლაში?—ვეკითხები. ბალღს გაეცინა და თავისი ლურჯი თვალები შემომანათა.

— სკოლაში საით ვისწავლიდი, აქ სკოლა სად გვაქს? მამამ მასწავლა...

— გაქვს წიგნები?

— მაქს ორი წიგნი, ვაჟაი მაქვს, სულ წავიკითხე, ათჯერ წავიკითხე, ზეპირ ვიცი, სხო არ მაქ. .

მიმიყვანა. მისი თეთრი ტანი სულ მოხატულ-მოწერილი იყო კაცის სიმაღლეზე, სადამდეც გიგიას ხელი შესწვდებოდა: „ვაჟამ ბახტრიონ სთქო“... ვკითხულობ ალმა-დალმა ნაწერ ასოებში. „მთას გაიშალა ყოილი ცხორიც გავრეკე მთაზედა გიგია“.

ვუცქერი ამ ვეებერთელა წიგნს, ვეებერთელა ქაღალდს, და საუკუნეები მიჰქრიან ჩემ თვალწინ, წინაპრებისაკენ; როდესაც არც ქაღალდი იყო, არც კალამი, მაშინაც ასე სჭრიდენ კლდეებზე, ხე-

ამხ. დ. კანდელაკის და ამხ. მარიამ ორახელაშვილის სახელობის კოლექტივი (ტფილისი, მე-IV რაიონი).

მეწყინა, ძალიან მეწყინა, რომ ხელცარიელი წამოვედი, არ წამოვიღე წიგნები, რვეულები..

— გიყვარს კითხვაი?

— ჰაი-ჰაი რომ მიყორს. მაგრამ რაი წავიკითხო?

მწუხარება სჩანდა თვალებში. ფშავლებს უყვართ წიგნი. ქამარში გარჭობილი სალამური შევნიშნე. მწუხარე საუბარი რომ თავიდან ამეცილებინა, ვთხოვე სალამური დაეკრა. თოლიგემ შეისმინა ჩემი თხოვნა და ჩაარაკრაკა სალამური. ხან აქაურ ტყის ჩურჩულს ჰგავდა, ხან მდინარის ლიკლიკს და ხან მზის ბრწყინვალებას.

— წამო, ჩემი ქაღალდი გაჩვენო, გინდა?— მკითხა გიგიამ, როცა თოლიგემ სალამურის დაკვრა გააათავა..

— აბა, წავიდეთ!—და გიგია გამიძღვა წინ. გავიარეთ ბუჩქები და უზარმაზარ წიფლის ხესთან

ებზე... ისე, როგორც ეხლა გიგია მარტო ამ ტყეში თავის ნაფიქრალს.

— დამიწერე რამე,—მეუბნევა გიგია და ხანჯალა დანას მაწვდის. „რა დავუწერო ბალღს ამ წიფელზე?—ვფიქრობ.

— [illegible]ნი გორი დასწერე, დავიხსომებ! მთხოვს, მელიმება. მოვდ[illegible]ართ უკან და საჭერბარიო ქაღალდი მივეცი, რაც შემეძლო მეტი. გაუბრწყინდა თვალი, ბედნიერი იყო, მეტადრე, როდესაც შევპირდი, ჩამოვლაზე ფანქარსაც დაგიტოვებ მეთქი. უფრო ბედნიერი კი მაშინ იყო, როდესაც ვუამბე მისი ტოლები, ტფილისელი ამხანაგები, პიონერები, რომ გაიგებდენ მის ამბავს, გამოუგზავნიდენ წიგნებს, ქაღალდს, რაც სჭირდებოდა.

გიგიამ და მისმა ამხანაგებმა გზა გამოგვითავაზეს. „პატარა ხევს გახვალთ და უთხოვარი დაიწყებაო“.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მართლაც, მდინარის პირს იდგა პირველი უთხოვარი, უზარმაზარი ხე, თითქმის ერთი მეტრის სისქე დიამეტრში, ძირიდან თითქმის წვერამდე ხავსით შემოსილი. თითქმის ორი ათასი წლისა. ვუცქერი ამ ბუმბერაზს, რომლის თავზეც ათას წლებს გადუვლია, და ვფიქრობ: რამდენის მნახველია, რამდენი ამბის მომსწრე!!

უთხოვარი საქართველოს ტყეებში ბევრგანა გვხვდება, განსაკუთრებით შავი ზღვის სანაპიროებისაკენ, მაგრამ მისი მთლიანი ტყე აღარსად არ შენახულა; ამგვარად, როგორც აქ, ბაწარას ხეობაში, შედარებით კარგად შენახული კორომები გვხვდება იმერეთ-ახალციხის ქედზე, საირმეზე, წაბლარას ხეობაში. სხვაგან კი ან სრულიად ნაჩეხია, ან თითო-ოროლა ბუჩქი-ღა დარჩენილა.

რამ გაანადგურა ასე, რად მოისპო? უთხოვარი მეტისმეტად ნელა მოზარდი ხეა, ათასი წლის ხეს დიამეტრი 50—60 სანტიმეტრი ძლივს აქვს, ხალხი კი მას ძალიან ემტერება, რადგან ჩვენს ხეებში ყველაზე გამძლე და ამასთან ყველაზე ლამაზი მერქანის მქონეა. მისგან ნაშენი სახლი მთელი საუკუნეები სძლებს. და ხალხიც ცდილობდა ყოველივე მისგან ეკეთებინა, სადაც მისწვდა, არ დააყენა. მისგან ნაკეთები ავეჯეულობა ლამაზია, მკვრივი და ძვირფასი; მეტადრე დღეს, როდესაც მისი ტყეები შემცირდა, უფრო გაძვირფასდა. საზღვარგარეთაც, იტალიაში, საფრანგეთში, ინგლისში იყო მისი ტყეები, მაგრამ იქაც მოისპო. აქა-იქღაა გადარჩენილი მისი პატარა ტყეები, რომელსაც თვალის ჩინივით უვლიან, ისე, როგორც წალკოტს. იმ ტყეებში გადარჩენილია სამიათასი წლის ხეები, და ისეთი ტყე, როგორც ბაწარაზეა, იშვიათია მსოფლიოშიც და ამიტომ მთავრობამ იგი ბუნების ძეგლად გამოაცხადა, იქ ხის მოჭრის უფლება არავის აქვს განსაკუთრებული ნებართვის გარეშე.

უთხოვარს ჩრდილი უყვარს და ამიტომ სხვა ხეების, აქ წიფლის, ტოტებს ზევით არ ააქვს თავისი ტოტი, ამის გამოვე ეტანება უფრო დაჩრდილულ ფერდობებს; აქაც ჩრდილოეთის ფერდობზეა, რომელსაც მზე იშვიათად ჰხვდება, სამხრეთისაკენ მიქცეულ ფერდობზე კი არსად ამოსულა, არ დასახლებულა.

აქ უთხოვარის მთლიანი ტყე კი არ არის, არამედ თითო-ოროლად ჩათესლებულა წიფლის ტყეში, ათი-თხუთმეტი ხის შემდეგ თითო ლამაზტანა ხე სდგას, დესეტინაზე 50—100 ასეთი ხეა მხოლოდ. ნორჩი, სამას წელზე ახალგაზრდა ხე აღარსად არის. სჩანს, ველარ ამოდის, — საქონლის

ეროვნული ბიბლიოთეკა

ძოვება და ერთგვარად ტყის სიხშირეც უშლის ხეს. ამგვარად, თუ მას არ გავუფრთხილდით და არ მოკუარეთ, სრულიად გადაშენდება, სრულიად გაჭრება, ისევე, როგორც ქართლის ტყეებშიც გაჩანაგდა და განადგურდა. აქამდე ეს ტყე მეცნიერებისათვის უცნობი იყო. ამ რამოდენიმე წლის წინათ ჰნახა ახალგაზრდა მეტყევემ ვასო კონსტანტინეშვილმა.

თუ ვინმე ბ ნკისის ხეობაზე აივლის, უეჭველად უნდა გადუხვიოს გაწარას ხევისკენ და ჰნახოს ეს იშვიათი უძველესი ტყე, ამ უღრან მთებში შემოხიზნული, ცროვრებიდან განდგომილსავით რომ განმარტოებულა.

დიდხანს დავეხეტებოდით ამ ტყეში, ამ შეუვალ ფერდობებზე, და ყურადღებით ვშინჯავდით თვითეულ ხეს. თითქოს ყოველი მათგანი მიამბობდა იმ ამბებს, რაც ათასი და მეტი წლის წინათ მომხდარიყო.

ტყე ხშირია და დაბურული, ბოაფრის ხმაური არ არღვევს იმ უცნაურ მყუდროებას, რომელიც აქ ჩამოხიზნულა. ჩიტების ჭიკჭიკიც კი არსაიდან ისმის, ეს ჩვენი ტყეების იერია. იგი ფრინველებით, მეტადრე მოჭიკჭიკე ფრინველებით, ღარიბია, მეტადრე ასე დახურული და გადაბერებული ტყეები. ზოგჯერ ძირს ხევში შაშვი თუ დასტვენს და შორიდან შემოგესმება გაბმული კაკუნი. ეს ტყის დიდი მეგობრის, ხეკოდალას, კაკუნია. სჩანს, მიდგომია რომელიმე დაჭიანებულ ხეს და ცდილობს თავისი კაკუნით კარში გამოაგდოს ხის მტერი, რაიმე მატლი ან ხოჭო, რომ პირი ჩაიგემრიელოს.

შევკრიფეთ მასალა, გადავიღეთ სურათები და კარგა გვიან ვიბრუნეთ შინისკენ პირი.

გვენანებოდა კი დაბრუნება. ვინც ერთხელ ნახავს ამგვარ ტყეს, მას წასვლა დაეზარება.

მაგრამ მზე გადიხარა, საღამოს ბინაზე უნდა ვყოფილიყავით: ალვანიდან ამბავს ველოდით — და ჩვენც წამოვედით.

ალექსი მხიარულად მოლაპარაკობდა:

— რაის გენანება, მერმის ამოდ კიდევ, სოფ. დედისფერულში მიკითხე და მთელი კვირა დავრჩეთ ამ ადგილებში. მენაც მიყვარს ტყეში სიარული, მიყვარს ხეც და ყოილიც...

მართლაც და ყველას სახელს მეუბნებოდა, ამას ის თვისება აქვს, ამას ესო, — დასძენდა ხოლმე თანაც.

ჯოყოლოში გიორგისაგან გამოგზავნილი წერილი დაგვხვდა. ხვალ დილისათვის ალვანიდან ამოვა თუში სამი ცხენით, გამოცდილი კაცია და ის იქნება თქვენი გამყოლიო. გაგვეხარდა.

ხვალ მთათუშეთის გზას შევუდგებით. ვნახავთ ტბათანას, ბორბალოს — დედას ალაზანისას, არაგვისას, ყოისუსა და არგუნისა. ვნახავთ წოვათას, ჩალმის და პირიქითის თუშეთს...

ამ ფიქრით ჩამეძინა, როცა ხომლი უკვე კარგად მაღლა წამოსულიყო.

ნ. კეცხოველი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

აფეთქება*)

მეოცე ინტერმედია.

სცენაზე გამოდიან რკინის გზის დარაჯი კობოზევი და მისი ცოლი. კობოზევს ხელში უჭირავს რკინის გზის ფანარი. წელზე ჰკიდია ბუდე, რომელშიაც სიგნალი დევს.

კობოზევი. (ამოიღებს საათს და ფანარის სინათლეზე დახედავს) უკვე თორმეტის ათი წუთია. თერთმეტზე უნდა მოეტანათ. ალბათ საქმე ცუდად არის.

ცოლი. მოიტანებენ, მოიცადე, ნუ ჩქარობ.

კობოზევი. ახლა კი აღარ მოიტანებენ. აღარ მოვიცდი, მე თვითონ წავალ ქალაქში.

ცოლი. სად უნდა წახვიდე? ქალაქში ღამით სიარული აკრძალულია.

კობოზევი. საგუშაგოს იქითა ნახარეს. თუ ჩხრეკა იქნა, იქ ვერ მიაგნებენ. (გადის. ცოლი თვალს გაადევნებს).

ნასტია. (შემოდის, მხარზე ტომარა აქვს გადაკიდებული. ძალიან დაღალულია) მითხარით, მესამე ვერსი ეს არის?

ცოლი. დიახ, მესამე ვერსია, რისთვის კითხულობ?

ნასტია. თქვენ არ იცით, სად არის რკინის გზის დარაჯის კობოზევის საგუშაგო?

ცოლი. აქ არის კობოზევის საგუშაგო. შენ რისთვის კითხულობ? რას დაეხეტები ამ ღამეში?

ნასტია. ძლიერ საჭირო საქმე მაქვს კობოზევთან.

ქ. ზუგდიდის პიონერ-კოლექტივი. წინამძღოლი წესაუბრება პიონერებს ოქტომბრის რევოლუციის შესახებ.

კობოზევი. მაშ რა ვქნა? როდისღა მოვასწრებ დავალების შესრულებას!.. თორმეტი საათიდან ხაზზე გაძლიერებული რაზმი იქნება. მაშინ უკვე ძნელია რამის გაკეთება. წავალ სვერჩკოვთან და გავიგებ, რა ამბავია. იქნებ ვერავის გამოატანეს, მაშინ მე თვითონ წამოვიღებ.

ცოლი. სულერთია, თორმეტ საათამდე მაინც ვერ მოასწრებ.

კობოზევი. მოვასწრებ თუ ვერ მოვასწრებ, ასაფეთქებელი წამალი აქ უნდა იყოს მოტანილი!

ცოლი. მაშ წადი! ფრთხილად იყავი...

კობოზევი. (მოიხსნის სიგნალს) თუ ვინმე მოვიდეს და გითხრას, რომ სვერჩკოვისგან არის გამოგზავნილი, აჩვენე წითელი სიგნალი. მაშინ შენ გადმოგცემენ, რაც საჭიროა. ჩვენ ასე ვიყავით შეთანხმებული (გადასცემს სიგნალს).

ცოლი. რასაც გადმომცემს, ის სად დავმალო?

ცოლი. ეხლა აქ არ არის. რა საქმე გაქვს?

ნასტია. კობოზევმა მამაჩემს ქალაქში ქონი შეუკვეთა. აი, მოვიტანე.

ცოლი. არავითარი ქონი მას არ შეუკვეთია. აქ ძალიან ბევრი ვინმე დახეტიალობს ქალაქიდან ჩამოსული!...

ნასტია. ძალიან საჭირო საქმე მაქვს მასთან, რა ვქნა, როგორ მოვიქცე.

ცოლი. სთქვი გარკვევით, რა გინდა, რა ამბავია? მე მისი ცოლი ვარ.

ნასტია. ცოლი? მე მასთან გამომატანეს ძალიან საჭირო რამ. მხოლოდ საკუთარ ხელში უნდა ჩავაბარო. სვერჩკოვისაგან უნდა გადავცე.

ცოლი. (შლის წითელ სიგნალს) აფეთქებისათვის?

ნასტია. დიახ.

ცოლი. შე სულელო, რატომ პირდაპირ არ სთქვი? კობოზევი დღეს საღამოდან გელოდა და, დროზე რომ აღარ მოხვედი, თვითონ წავიდა ქალაქ-

*) დასაწყისი იხ. „პიონერის“ № 18—19.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ში... აი, ხედავ? კაცი რომ მიდის ფანრით, სწორედ ის არის. დასტოვე ეს ტომარა და გაიქეცი, ჩქარა დაეწიე, დააბრუნე.

ნასტია. დავიღალე, აღარ შემიძლია მეტი სიარული, აქამდე ძლივს მოვახწიე...

ცოლი. მაშ კარგი. წადი და, აი, აგერ, საგუშაგოსთან დაჯექი. მე დავეწევი მას.

ნასტია. აბა, ჩქარა... ყოველი წუთი ძვირფასია... მეც თქვენთან წამოვალ... როცა საქმეს გავათავებ, მაშინ დავისვენებ... (ერთად მიდიან).

(ფარდა)

მესამე მოქმედება.

პირველი მოქმედების ოთახი. მაგიდასთან ზის სოტნიკოვი, მის წინ სდგას ჩიჩაგოვი.

სოტნიკოვი. როცა მე თქვენ დაგიჭირეთ და ყუმბარები აღმოგაჩნდათ, როგორ უნდა დამესაჯეთ? სთქვით, როგორ?

ჩიჩაგოვი. ციხეში უნდა გაგეგზავნეთ...

სოტნიკოვი. არა, ციხეში კი არა... საიქიოში გასაგზავნი იყავი... ვინ გადაგარჩინა სიკვდილს? მიპასუხე, ვინ გადაგარჩინა?

ჩიჩაგოვი. თქვენ, ბიქტორ პავლეს ძევ!

სოტნიკოვი. მაშ მიჩვენეთ თქვენი მუშაობა. გაიგეთ, სად არის შენახული ასაფეთქებელი წამალი, გაიგეთ, რათაც გინდა დაგიჯდეს!

ჩიჩაგოვი. (ტირილით). რა ვქნა, თქვენო კეთილშობილებავ!.. რაც შემიძლია, ვცდილობ... ხომ გითხარით, რომ ასაფეთქებელი წამალი შტაბის შენობის ქვეშ არის, სადღაც სარდაფში...

სოტნიკოვი. (მაგიდაზე დაარტყამს მუშტს). რას ბოშავ! ადგილი დაასახელე სისწორით. სთქვი გარკვეულად (ზარს რეკავს). მაკარენკო!

მაკარენკო. (შემოდის) აქ გახლავართ. მთელი მიწა გადავთხარეთ სარდაფში ნახევარ არშინზე, მაგრამ არაფერი სჩანს.

სოტნიკოვი. გასწი. მოიცა! კიდევ ამოთხარეთ მიწა. კარგად მოძებნეთ. გასწი... მოიცა! პატიმრები მოიყვანეს?

მაკარენკო. დიახ, თქვენო კეთილშობილებავ.

სოტნიკოვი. მომიყვანე ახლავე აქ. ჩქარა.

მაკარენკო. ეხლავე... (მიდის)

ჩიჩაგოვი. მაგრად მოუჭირეთ ხელი, ბიქტორ პავლეს ძევ, მაგრად! მაგათ ყველაფერი იციან.

სოტნიკოვი. ვისგან გაიგეთ თქვენ, რომ ასაფეთქებელი წამალი შტაბის შენობის ქვეშ არის?

ჩიჩაგოვი. ნასტია უსოვისაგან. იმან მითხრა, შტაბის შენობის ქვეშ არისო...

სოტნიკოვი. ის ხომ გაიქცა!..

მაკარენკო. (შემოდის) როგორ გვიბძანებთ: ყველანი ერთად შემოვიყვანო, თუ ცალკ-ცალკე?

სოტნიკოვი. ყველანი ერთად შემოიყვანე, ბოლშევიკების ეგ საძაგელი რაზმი...

ჩიჩაგოვი. პირველად ვერიოვკინი დაჰკითხეთ, ის მათი უფროსია.

სოტნიკოვი. ვერიოვკინი? კარგი. ჰა, პაპიროსი! წადით თქვენს კაბინეთში და, როცა საჭირო იქნებით, დაგიძახებთ. (ჩიჩაგოვი მიდის. სოტნიკოვი ამოიღებს რევოლვერს და მაგიდაზე დასდებს. მაკარენკოს შემოჰყავს ყმაწვილები).

სოტნიკოვი. ახლოს მოდით! სამი ნაბიჯი წინ! (ყმაწვილები უახლოვდებიან). ქუდები მოიხადეთ! (ქუდებს იხდიან). თქვე არამზადებო, საძაგლებო! გერმანელებმა მოგისყიდეს? ჯერ მიწას არ ასცილებიხართ და უკვე ბოლშევიკები ხართ?.. ხელები ძირს დაუშვით. პირდაპირ თვალებში მიყურეთ. ვაი თქვენი ბრალი, თუ სიცრუეს იტყვით, ყველას დაგხვრეტავთ. გესმით თუ არა?

ვორონცოვი. გვესმის, როგორ არ გვესმის!..

სოტნიკოვი. ხმა ჩაიკმინდე!.. მითხარით, რამდენი მიიღეთ გერმანელებისაგან?

დებალინი. არაფერი არ მიგვიღია.

სოტნიკოვი. ხმა ჩაიკმიდე!.. (მეორე ოთახში ტელეფონის ზარის რეკა ისმის. სოტნიკოვი წამოდგება) მაკარენკო, თვალყური ადევნე მაგათ! მე ახლავე მოვალ... (გადის).

ვერიოვკინი (ჩუმად). მაგრად, ყმაწვილებო, მაგრად, არ სთქვათ, სად არის ასაფეთქებელი წამალი.

ქ. ზუგდიდის პიონერ-კოლექტივი. ემზადებიან ოქტომბრის_რევოლუციის დღის საზეიმო დემონსტრაციაზე გამოსვლისათვის.

ვორონცოვი. ჩაიკინის შესახებ არც ერთი სიტყვა არ დასძრათ. სთქვით, რომ ის კაცი იყო არა ჩაიკინი, არამედ თათარი. თუ გვკითხოს, სარდაფში რას აკეთებდითო, უპასუხეთ, ბანქოს ვთამაშობდით-თქო.

ვერიოვკინი. დაზგის შესახებ კრინტი არ დასძრათ.

დებალინი. თუ ერთსულოვან პასუხს გავცემთ, ვერაფერს ვერ დაგვაკლებენ.

ვორონცოვი. მე სულ ერთია დამხვრეტენ: რევოლვერი მინახეს.

ვერიოვკინი, ნუ გეშინია, შენი მამა ასოთამწყობია, პარტიის წევრი.

ვორონცოვი. მე არ მეშინია!

ვერიოვკინი. საჭიროა მხოლოდ დროს გაჭიანურება. შეიძლება ჩვენებმა ნაშუადღევს ქალაქი დაიჭირონ.

დებალინი. ჩვენები ვერ შემოვლენ. ვინ მიიტანს ასაფეთქებელ წამალს? ჩაიკინმა ხომ სთქვა, რომ ყველაფერი ასაფეთქებელ წამალზე არის დამოკიდებული.

ვერიოვკინი. (ვორონცოვს) შორს გაქვს დამალული?

ვორონცოვი. შორს... ძალიან ძნელი მოსანახავია.

მაკარენკო. ეი, თქვენ, რას ჩურჩულებთ?.. ჩუმად იყავით!..

ვერიოვკინი. კარგი, კარგი...

სოტნიკოვი. (შემოდის) მაკარენკო, ბერზას ქარხანაში არეულობაა... მიტინგებს მართავენ ის არამზადები. ახლავე უჩვენებენ იმათ სეირს... კაზაკები უკვე გაიგზავნა. (დაჯდება) რომელია თქვენში ვერიოვკინი?

ვერიოვკინი. მე ვარ.

სოტნიკოვი მოდი ახლოს!.. (მაკარენკოს) დანაჩენები გაიყვანე!..

მაკარენკო. ახლავე!.. აბა, გასწით!.. ერთი, ორი, ერთი ორი!.. (გაჰყავს).

სოტნიკოვი. შენ ხარ ვერიოვკინი?

ვერიოვკინი. მე ვარ.

სოტნიკოვი. რამდენი წლისა ხარ?

ვერიოვკინი. ერთი თვის შემდეგ 14 წლისა ვიქნები.

სოტნიკოვი. (სწერს). ვინ არიან შენი მშობლები?

ვერიოვკინი. დედა არ მყავს. მამა მელითონეა.

სოტნიკოვი. რას აკეთებდი სარდაფში?

ვერიოვკინი. რომელ სარდაფში?

სოტნიკოვი. სიტყვას ბანზე ნუ აგდებ, სთქვი, რას აკეთებდი?

ვერიოვკინი. ბანქოს ვთამაშობდი! ათი შაური წავაგე.

სოტნიკოვი. მიჩვენე ხელები (ვერიოვკინი ხელებს უჩვენებს) საღებავი რატომ გაცხია თითებზე?

ვერიოვკინი. გუშინწინ მელანი გადავისხი.

სოტნიკოვი. (სახაზავს დაარტყამს ხელებზე) მე შენ გიჩვენებ „მელანს". ვინ დასწერა ფურცელი?

ვერიოვკინი. რომელი ფურცელი?

სოტნიკოვი. აი, ეს (აჩვენებს), სარდაფში რომ ვნახეთ.

ვერიოვკინი. ჩვენ ეს არ დაგვიბეჭდია. ჩვენ არაფერი არ ვიცით მაგ საქმისა.

სოტნიკოვი. მაშ თითები რატომ გაქვს დასვრილი?

ვერიოვკინი. მელანი გადავისხი.

სოტნიკოვი. რისთვის იყო თქვენთან ჩაიკინი?

ვერიოვკინი. ჩაიკინი ჩვენთან არ ყოფილა. ამბობენ, პატერში წავიდაო!..

სოტნიკოვი. სცრუობ, შე არამზადა! ჩაიკინი დააპატიმრეს თქვენი სარდაფიდან გამოსვლის დროს.

ვერიოვკინი. როდის?

სოტნიკოვი. გუშინ. ღამით მან დაკითხვაზე აღიარა, რომ თქვენთან იყო და რომ თქვენ დამალეთ ასაფეთქებელი წამალი. მან არ იცის სად დამალეთ, სთქვა, რომ შენ იცი. სთქვი, სად არის ასაფეთქებელი წამალი?

ვერიოვკინი. რის ასაფეთქებელი წამალი, მე არ მესმის, რას მეუბნებით.

ცოცხალი გაზეთის რეპეტიცია კოლექტივში.

სოტნიკოვი. (ყვირის) სად არის ნახევარი ფუთი ასაფეთქებელი წამალი, გამოტყდი ახლავე!..

ვერიოვკინი. თუკი არაფერი ვიცი?!

სოტნიკოვი. არ გამოტყდები?

ვერიოვკინი. არაფერი არ ვიცი, რაში უნდა გამოვტყდე?

სოტნიკოვი. (ყვირის) დადექი ამ კედელთან (უჩვენებს) აქეთ... (ამოიღებს რევოლვერს).

ვერიოვკინი. (დადგება კედელთან). მესროლეთ!.. არაფერი არ ვიცი...

სოტნიკოვი. (დაუშვებს რევოლვერს) შე არამზადა, საძაგელო... (კილოს გამოიცვლის) მოდი აქეთ დაჯექი, ძმობილო. (ვერიოვკინი ჯდება) არ გინდა ბევრი ფული აიღო? (ამოიღებს საფულეს)

ვერიოვკინი. რატომაც არ მინდა!

სოტნიკოვი. აი, ყოჩაღ! აი, მთელ ამ ფულს მიიღებ (უჩვენებს საფულეს) მოიგონე, სად დამალე ასაფეთქებელი წამალი... მოიგონე?

ვერიოვკინი. (კატეგორიულად). ასაფეთქებელი წამლის შესახებ არაფერი არ ვიცი!..

სოტნიკოვი. (საფულეს შეინახავს). მაკარენკო! (შემოდის მაკარენკო) გაიყვანე ეს არამზადა... შემოიყვანე შემდეგი. (მაკარენკოს შემოჰყავს ვოროხცოვი).

ვერიოვკინი. (ჩუმად ვორონცოვს) საქმე ცუდად არის, ჩაიკინი დაუჭერიათ.

მაკარენკო. (ვერიოვკინს) გასწი!.. (ვერიოვკინი გაჰყავს).

სოტნიკოვი. დადექი, ყმაწვილო... შენი გვარი?

ვორონცოვი. ვორონცოვი.

სოტნიკოვი. ძალიან დავიღალე, ჩემო ძმობილო... პაპიროსს სწევ.

ვორონცოვი. არა.

სოტნიკოვი. (ამოიღებს კოლოფს) მაშ კანფეტები აიღე.

ვორონცოვი. არ მინდა, კბილები მტკივა...

სოტნიკოვი. აიღე, აიღე, ნუ ვრცხვენია. ნუ გეშინია, მოწამლული არ არის. ქალაქში ტყუილად ამბობენ, რომ ჩვენ თავისუფლების წინააღმდეგი ვართ. ახლა ყველა ჩვენ გვემხრობა. ბოლშევიკები გატჩინოსთან დაამარცხეს. ლენინი და ტროცკი ჰაეროპლანით გაფრინდენ გერმანიაში. მუშაობა პიტერში განახლდა... რატომ არ იღებ კანფეტს?

ამ რამოდენიმე ხნის წინათ ბერლინში ჩამოყვანილ იქნა ვენის აჯანყების დროს მოკლულ მუშათა ბავშვები. მათ პატრონობას უწევს რემედასი.

ვორონცოვი. ავიღებ... (იღებს).

სოტნიკოვი. შენ ეს მითხარი: სკოლაში სწავლობ?

ვორონცოვი. ვსწავლობ.

სოტნიკოვი. რომელი საგანი უფრო გიყვარს?

ვორონცოვი. ბუნებისმეტყველება, სადაც მხეცებისა და ფრინველების აღწერაა..

სოტნიკოვი. მაშ ასე...

ვორონცოვი. სადაც ლაპარაკია იმაზე, თუ როგორ უნდა ამოიხოცოს სხვადასხვაგვარი ქვეწარმავალი...

სოტნიკოვი. ა-აა... მაშ თევზის ჭერაც გიყვარს?

ვორონცოვი. მიყვარს.

სოტნიკოვი. წარმოიდგინე, რომ მეც მიყვარს თევზაობა. სწორედ დღეს საღამოთი მინდოდა სათევზაოდ წასვლა... თევზების ჭერა ადვილია ასაფეთქებელი წამლით... ასაფეთქებელი წამალი კი არ მაქვს... თქვენმა ყმაწვილებმა სადღაც გადამალეს. დამეხმარე მეგობარო, მითხარი, სად არის შენახული! არ იცი? თუ ასაფეთქებელი წამალი ვიშოვნეთ, შენც წაგიყვანთ სათევზაოდ.

ვორონცოვი. გმადლობთ. მე არ მიყვარს თევზაობა ასაფეთქებელი წამლით. თევზს მე ანკესით ვიჭერ.

სოტნიკოვი როგორ არ იცი, რომ ახლა ომია და ომის დროს თევზს ანკესით არ იჭერენ?

ვორონცოვი. მე თქვენ გინდათ დამიჭიროთ ანკესით, მაგრამ ვერ დამიჭერთ (წამოხტება). ტყუილად ცდილობთ, მე არ გავცემ ჩემს ამხანაგებს... მე არაფერი არ ვიცი...

ჩიჩაგოვი. (შემოვარდება) სტყუი, მიშა, შენ ყველაფერი იცი. მე თვითონ დავინახე, როგორ ჩააწყე ასაფეთქებელი წამალი ჩემოდანში და როგორ წაიღე შტაბიდან.

ვორონცოვი. შენი რა საქმეა? ვერაფერს ვერ გახდები შენი მოღალატეობით და გამცემლობით, შე საზიზღარო!..

სოტნიკოვი. გაჩუმდი!..

ვორონცოვი. მოღალატე, უსინდისო, საძაგელო... მოიცა, მოიცა, გაგისწორდებით, როგორც რიგია.

ჩიჩაგოვი. თქვენი დრო წავიდა, თქვე საცოდავებო! ხუთი წუთის შემდეგ ყველას დაგხვრეტენ.

ვორონცოვი. დაგვხვრიტონ! ერთი წლის შემდეგ ჩვენისთანები მილიონობით იქნებიან. ჩვენ სიმართლეს ვემსახურებით და ჩვენი საქმე არასოდეს არ მოკვდება.

სოტნიკოვი. ჰაა, აი, რაშია, თურმე, საქმე. (რევოლვერს დაუმიზნებს) უკანასკნელად გეუბნები, მითხარი, სად არის ასაფეთქებელი წამალი? (პაუზა. ისმის აფეთქების ხმა).

ვორონცოვი. აი, ეგ არის!..

სოტნიკოვი. (ტელეფონის მილს წაავლებს ხელს) მორიგე, არ იცი, სად არის აფეთქება? რაო? მეორე სადგურზე? რაო? ხიდი ააფეთქეს?.. როგორ მოხდა?.. (ტელეფონის მილს დააგდებს).

ჩიჩაგოვი. (ჩუმად სოტნიკოვს) ეს არაფერს ამბობს. დაჰკითხეთ დებალინს, ის უფრო მალე გეტყვისთ. (ისმის თოფის სროლის ხმა).

სოტნიკოვი. მაკარენკო, შემოიყვანე დებალინი. (მაკარენკოს შემოჰყავს დებალინი).

ვორონცოვი. (ჩუმად დებალინს) ფრთხილად იყავი, თორემ წამოგაცდენინებს, ძალიან ეშმაკია. გაიგონე აფეთქების ხმა? ალბათ, ხიდი ააფეთქეს.

მაკარენკო. ნუ ლაპარაკობთ! (ვორონცოვს) გასწი!.. (ვორონცოვი გაჰყავთ).

სოტნიკოვი. მოდი აქ! შენი სახელი? (დებალინი სდუმს). გვარი? (სდუმს). სთქვი, სად დამალეს ყმაწვილებმა ასაფეთქებელი წამალი? რას დამუნჯებულხარ! მუნჯი ხომ არა ხარ?..

დებალინი. მუნჯი ვარ, თქვენო კეთილშობილებავ!..

ჩიჩაგოვი. სტყუის... ეგ მუნჯი არ არის... (სოტნიკოვს ყურში უჩურჩულებს და გადის. სროლის ხმა ძლიერდება. ისმის ტელეფონის ზარის ხმა).

სოტნიკოვი. (აიღებს ტელეფონის მილს) რაო, რაო, ბოლშევიკებმა ჯავშნოსანი მოიტანეს? არაფერია, ნუ ღელავთ. ყველაფერს ბოლოს მოვუღებთ... ფაბრიკაში კაზაკები უკვე გაიგზავნა. (სდებს

ტელეფონის მილს) მაკარენკო! ყველა ყმაწვილი შემოიყვანე აქ. დრო არ მაქვს ცალ-ცალკე გავმართო საუბარი. (მაკარენკოს შემოჰყავს ყმაწვილები).

მაკარენკო. დაეწყვეთ!.. (ყმაწვილები ეწყობიან).

სოტნიკოვი. მე დრო არ მაქვს თქვენთან ვილაყბო. მე ვიცი, რომ თქვენ სადღაც დამალეთ ასაფეთქებელი წამალი. ახლავე მითხარით სად დამალეთ!.. სთქვით ახლავე, სად წაიღეთ? ერთ წუთს გაძლევთ მოფიქრებისათვის. ვინც იტყვის, ის სიკვდილს გადარჩება, დანარჩენები ახლავე დაიხვრიტებიან. მაკარენკო! პეჩონკინს უთხარი ტყვიისმფრქვეველი მოამზადოს ამათ დასახვრეტად. (მაკარენკო გადის) აბა!.. (ამოიღებს საათს) ნახევარი წუთი გავიდა. თუ არც ერთი არ იტყვით, ყველას დაგხვრეტთ. (პაუზა).

დებალინი. მე თქვენ არ დამკითხეთ, ბატონო უფროსო!.. მე გეტყოდით... რატომ უნდა დამხვრიტოთ?..

ვორონცოვი. (ჩუმად) გაცემას აპირებს... (დებალინს) გაჩუმდი!..

სოტნიკოვი. აბა, სთქვი, სად არი. თუ იტყვი, სიკვდილს გადარჩები და ამ საათსაც გაჩუქებ. (ყმაწვილები შიშით შესცქერიან დებალინს. შემოდის მაკარენკო).

მაკარენკო (ჩუმად). თქვენო კეთილშობილებავ! კაზაკებს მიტინგი გაუმართავთ. ბრძოლაზე უარს ამბობენ...

ვერიოვკინი. (ჩუმად) ყმაწვილებო, უნდა შევეცადოთ, რომ დრო გავაჭიანუროთ... მაგათი საქმე გლახად არის. ჩვენმა ფურცლებმა შეასრულეს თვისი დანიშნულება.

სოტნიკოვი. (დებალინს) აბა, სთქვი ჩქარა, სად არის ასაფეთქებელი წამალი!

დებალინი. აქ არის.

სოტნიკოვი. აბა, გვიჩვენე, სად?

დებალინი. სისწორით არ ვიცი სად არის, მაგრამ ვიცი, რომ აქ არის, ნასტიამ დამალა. (შემოდის ნასტია, სხვა ტანისამოსში გადაცმული. ხელებზე ხელთათმანი აქვს, თავზე შლიაპა ახურავს. ვერიოვკინი რაღაცას უჩურჩულებს ვორონცოვს).

სოტნიკოვი. რომელი ნასტიაა?..

ჩიჩაგოვი. (შემოვარდება) აი, ეგ არის!..

ყმაწვილები. ნასტია!..

ნასტია. (ჩუმად) ყმაწვილებო, ცოცხალი ხართ?..

სოტნიკოვი. როგორ მოხვედი აქ?

ნასტია. მე ნებართვა მაქვს. დაპატიმრებულების საქმეზე მოვედი.

სოტნიკოვი. რომელი დაპატიმრებულების საქმეზე?

ნასტია. აი, ამ ყმაწვილების.

სოტნიკოვი. შენ ვინ ხარ? რა არიან ეგენი შენი? ძმები, ბიძაშვილები თუ მამიდაშვილები!..

ნასტია. არა, ამხანაგები არიან.

სოტნიკოვი. მე შენ გიჩვენებ „ამხანაგს!" მე ვუბრძანებ, რომ შენც ამათთან დაგაპატიმრონ. სთქვი, სად არის ასაფეთქებელი წამალი? იცი სად არის?..

ვერიოვკინი. (წინ წამოდგება) მე ვიცი!.. შემიძლია ის ადგილი გიჩვენოთ. მე მაგასთან ერთად დავმალე.

სოტნიკოვი. სთქვი, სად არის.

ვერიოვკინი. ამ ოთახში, იატაკ ქვეშ. (სროლის ხმა კიდევ ძლიერდება).

სოტნიკოვი. მაკარენკო. მოიტანეთ ცული და იატაკი აჰყარეთ.

მაკარენკო. ახლავე (მირბის. გაისმის ტელეფონის ზარის რეკა).

სოტნიკოვი. (მილს იღებს) რაო! კარგი. (ქაღალდებს კრებს).

ჩინეთის რევოლუციის მოღალატე გენერალ ფინ-უი-სიანის ქალიშვილი, რომელიც იმყოფება მოსკოვში და მუშაობს ქარხანაში. ფუ-ფას (ასეთი სახელი ჰქვიან მას) ძლიერ სძულს ფინ-უი-სანი, რადგანაც მან კარგად იცის, რომ მამამისმა ჩაიდინა მეტად ცუდი საქმე, ღალატი ჩინეთის ხალხს.

ნასტია. მედგრად იყავით, ყმაწვილებო. სადგური დაკავებულია. წითელი გვარდია შეტევაზე გადმოდის.

ვერიოვკინი. ასაფეთქებელი წამალი გადაეცი?

ნასტია. გადავეცი. ხიდი აფეთქებულია (მაკარენკო შემოდის ცულით).

მაკარენკო. (ჩუმად სოტნიკოვს) უბედურება დაგვატყდა, თქვენო კეთილშობილებავ: კაზაკებმა წითელი დროშა ააფრიალეს, ცხენები შეკაზმეს და გზას გაუდგენ.

სოტნიკოვი. გამცემლები!.. ბოლშევიკებმა მოისყიდეს.

მაკარენკო. გავიქცეთ, თქვენო კეთილშობილებავ!..

სოტნიკოვი. შეჩერდით (ყმაწვილებს). გვიჩვენეთ, რომელი იატაკის ქვეშ არის.

ვერიოვკინი. აქ არის (უჩვენებს).

სოტნიკოვი. ასწით... ფრთხილად, არ აფეთქდეს. (ჩუმად მაკარენკოს) მე თვითონ ამოვიღებ ასაფეთქებელ წამალს, დავიღუპები, მაგრამ ბოლშევიკებს ისეთ საქმეს მოვუწყობ, რომ ყოველთვის ეხსომებათ სოტნიკოვის სახელი. ასწით იატაკის ფიცარი.

მაკარენკო. ახლავე! (სწევენ იატაკის ფიცარს)

ვერიოვკინი. (ყვირის) ტაიხვა—ჟიარუ! (ყმაწვილები მივარდებიან ხვრელთან, იტაცებენ თოფებს და უმიზნებენ სოტნიკოვს) შეჩერდი. ადგილიდან არ დაიძრა.

ნასტია. ხელები ზევით!

სოტნიკოვი. რა მოხდა?

ვერიოვკინი. გაჩუმდი. თქვენ დაპატიმრებული ხართ. მიშა, მოხსენი რევოლვერი. (ვორონცოვი რევოლვერს ხსნის).

სოტნიკოვი. არამზადებო! მაკარენკო, განაიარაღე დაუყოვნებლივ.

ვერიოვკინი. კადეტები მოათავსეთ იმ კამერაში.

სოტნიკოვი. მე?

ვერიოვნიკი. ჩქარა, ულაპარაკოდ. (დებალინი და ვორონცოვი კამერაში ამწყვდევენ სოტნიკოვს და მაკარენკოს).

ჩიჩაგოვი. (მუხლებზე იჩოქებს) ყმაწვილებო.

ვერიოვკინი. შენ ცალკე მოგელაპარაკებით. ესეც მათთან დაამწყვდიეთ (ჩიჩაგოვი გაჰყავთ).

ნასტია. მივარდება ფანჯარასთან, სტეხს მინას, ცხვირსახოცს აფრიალებს) ვაშაა! (ყმაწვილებს) ყმაწვილებო, შეხედეთ, მუშები აჯანყებულ კაზაკებთან მიდიან. ჩვენებმა გაიმარჯვეს!..

ყმაწვილები. ვაშაა! გაუმარჯოს მუშათა და გლეხთა ხელისუფლებას.

ნასტია. გაუმარჯოს ლენინს!

ყმაწვილები. ვა-შაა!

დებალინი. შეხედეთ, ჩაიკინი ავტომობილით მოდის.

ყმაწვილები. ვაშაა!

ვერიოვკინი. ყმაწვილებო, ससससუ. მწყობრად დავდგეთ და ჩაიკინს შეეხვდეთ დროშით.

ყმაწვილები. მართალია.

ვერიოვკინი. დაეწყეთ! (იატაკის ქვეშიდან იღებს დროშას და თოფის ხიშტზე აკრავს, ყმაწვილები წყობიან. შემოდიან, ჩაიკინი, გრავე და მუშები).

ჩაიკინი. (შემორბის) ყმაწვილებო, ცოცხლები ხართ?! ცოცხლები?! ყველანი აქა ხართ, როგორც ამ ერთი თვის წინათ!! (ეხვევა ყმაწვილებს).

ვერიოვკინი. სმენა!. ახალგაზრდა ბოლშევიკების სახელით მოგახსენებთ, რომ კაზაკების შტაბი ჩვენ დავიჭირეთ ამ 5 წუთის წინათ. დაჭრილი და მოკლული არავინ არი. ტყვე სამია.

ნასტია. აი იქ არიან ჩაკეტილნი. ჩაიბარეთ ისინი, ამხანაგებო.

ჩაიკინი. ბამაცო ახალგაზრდებო! რევოლუციის სახელით მადლობას გიცხადებთ!.. თქვენ დაეხმარეთ მუშათა კლასის განთავისუფლების საქმეს. ყმაწვილებო, პეტერბურგიდან მიღებულია დეპეშა, რომ კერენსკის კვალიც კი არსად ჩანს.

ყმაწვილები. ვაშაა!...

ჩაიკინი. სთქვით, მომავალში იმუშავებთ მუშათა კლასის სასარგებლოდ?

ყმაწვილები. ვიმუშავებთ, ამხანაგო ჩაიკინო.

ჩაიკინი. სად გინდათ იმუშაოთ, ყმაწვილებო?

ყმაწვილები. ფლოტში, ამხანაგო ჩაიკინო.

ჩაიკინი. სიტყვას გაძლევთ, რომ ფლოტში იქნებით. აი, თქვენი საჩუქარი იყოს მუშათა ეს დროშა. (გადასცემს დროშას) ამ დროშას ვაძლევ თქვენს ჯგუფს, დაიცავით იგი მტკიცედ და რევოლუციის საქმე გამარჯვებამდე მიიყვანეთ.

ყმაწვილები. მტკიცედ დავიცავთ, ამხანაგო ჩაიკინო, მედგრად ვიბრძოლებთ რევოლუციის საბოლოო გამარჯვებისათვის!..

(ფარდა)

რა ვიკითხოთ?

კ. ლორთქიფანიძე და ელ. პოლუმორდვინოვი—კომკავშირელებია, რომელნიც საკმაოდ იცნობენ პიონერ-ორგანიზაციას და სკოლის ბავშებს. პოლუმორდვინოვი რაჭის მაზრის პიონერთა ბიუროს თავმჯდომარე იყო, ერთ დროს გაზ. „ნორჩი პიონერის“ რედაქტორიც, კოლექტივების ხელმძღვანელი და სხვ. ამიტომაა, რომ მისი მოთხრობები არ არის ყალბი, შიგ სიცოცხლე სჩქეფს. ელ. პოლუმორდვინოვი და კონსტ. ლორთქიფანიძე თავიანთ მოთხრობებში ერთის მხრივ ეხებიან საბჭოთა კავშირის ბავშებს, მათს ცხოვრებას, მეორე მხრივ კი მათი გულისყური გადატანილია კაპიტალისტურ ბურჟუაზიულ ქვეყნებში; ინგლისის მუშათა დიდი გაფიცვები, კაპიტალისტური ქვეყნების მშრომელი ბავშების გმირობა, ბავშების გმირული ბრძოლა მუშათა საქმისათვის—კომუნიზმისათვის,—აი, რა აინტერესებსთ მათ.

ნუთუ არ გინდათ იცოდეთ ყველა ის საშინელება, რასაც აქვს ადგილი ბურჟუაზიულ ევროპაში? ნუთუ არ გსურთ იცოდეთ, თუ როგორ იბრძვის და შრომობს საბჭოთა კავშირის მშრომელი ბავში **ლენინის ანდერძების შესრულებისათვის**? ნუთუ არ გსურთ იცოდეთ, თუ როგორ გამოსწორდა უპატრონო ბავში და შეიქნა ლენინელი?

მაშ წაიკითხეთ კონსტ. ლორთქიფანიძის და ელ. პოლუმორდვინოვის მოთხრობები, ამხანაგო პიონერებო, ძვირფასო ბავშებო, და უამბეთ თქვენს ძმებს, დებს და მეგობრებს.

აი ამ წიგნების სიაც, რომელნიც **სახელგამის** ყველა მაღაზიაში იშოვება:

1. **ელ. პოლუმორდვინოვი: „სიცოცხლე ცეცხლში“** (პიონერ-მოთხრობები) შეიცავს 118 გვერდს და ღირს 60 კაპ.

2 **კონსტ. ლორთქიფანიძე: „ახალი ქვეყნისაკენ“** (პიონერ-მოთხრობები) შეიცავს 71 გვერდს და ღირს 30 კაპ.

3. **დ. თურდოსპირელი: „ჩემი ცხოვრების გარიჟრაჟზე“** (მოთხრობები ყრმათათვის) შეიცავს 59 გვ. და ღირს 30 კაპ.

4. **ელ. პოლუმორდვინოვი: „საბავშო ლექსები“**—ღირს 30 კაპ.

ოქტომბრის რევოლუციის ათი წლის თავისათვის კი გამოვიდა:

5. **ვ. ლუარსამიძის** წიგნი: **„ოქტომბრის დიდი რევოლუცია“** — ოქტომბრის მოკლე ისტორია (დასურათებული) სკოლებისა და პიონერ-ორგანიზაციებისათვის. შეიცავს 80 გვ. და ღირს 80 კაპ.

ამხ. პიონერებო, გაავრცელეთ თქვენი ლიტერატურა!

ეროვნული ბიბლიოთეკა

პიონერ—ორგანიზაციის საკავშირო შეჯიბრება დაიწყო.

„წითელ ყელსახვევიანებთან".

(მე-VII და მე-XV-ე კოლექტივები).

დროგამოშვებით მქოლავ მატარებელთა გუგუნს შორის, რკინის გზის ახმაურებული სახელოსნოს გვერდით, იქ, საიდანაც იშლება რამდენიმე ათეული მზით აბრჭყვიალებული ლიანდაგი, ტფილისის სადგურთან მოთავსებულან მე-VII-ე და მე-XV-ე პიონერ-კოლექტივები, მოუუწყვიათ თავიანთი „შტაბი-ოთახი".

დიდი დარბაზი სიცოცხლით სავსეა; ერთ კუთხეში პიონერები კითხულობენ, მეორეში რადიო-მიმღებს აწესრიგებენ, მესამეში გულმოდგინედ გამოჰყავთ სტრიქონები ლამაზი ასოებისგან თავიანთი კედლის გაზეთისათვის.

კოლექტივები დაარსდა 1924 წელს და კარგა დიდი შრომა დაიხარჯა და სათანადო ღონისძიებანი იქნა მიღებული კოლექტივებში ბავშთა ჩაბმისა და მუშაობის გაუმჯობესებისათვის.

ძნელი იყო მუშაობა პირველ ხანებში. იქ ირიცხებოდა 18 პიონერი. აი „მთელი შემადგენლობა კოლექტივებისა მათი არსებობის დასაწყისში. წინამძღოლებს დრო არა ჰქონდათ, პიონერებს ნაკლები დრო ეთმობოდათ, მუშაობა მოიკოჭლებდა, პიონერთა რიცხვი არ მატულობდა.

ეხლა სულ სხვაა. მას შემდეგ, რაც წინამძღოლად წამოყენებულ იქნა პიონერი ქალი, ახლა უკვე კომკავშირელი, ჟენია ლუკიანოვა, კოლექტივები გაიზარდა რიცხობრივადაც და ღირსებითაც. ამ წლის ზაფხულის დასაწყისში კოლექტივებში ირიცხებოდა 80 პიონერი. წითელ ყელსახვევებში გამოწყობილი 80 პატარა მოქალაქე. ეხლა დროებით, საზაფხულო პერიოდში მუშაობის „შეწყვეტის გამო, ეს რიცხვი 53-მდე ჩამოვიდა.

— არაფერია, ჩვენ გულს არ ვიტეხთ, ვიმედოვნებთ კიდეც, რომ ჩვენს ამოცანას კარგად შევასრულებთ,— გაიძახიან პიონერები. ეს ამოცანა კი ის არის, რომ ოქტომბრის რევოლუციის ათი წლის თავისთვის ასი პიონერი უნდა ირიცხებოდეს მათ კოლექტივში.

ყოველი პიონერი, დაწყებული შვიდი წლის ბავშისაგან და დამთავრებული თხუთმეტი წლის მოზარდით, ჩაბმულია წრეების მუშაობაში. წრე რამდენიმეა:—რადიო-წრე, ამკინძავი, ხელსაქმის და ცოცხალი გაზეთის; იყო აგრეთვე „ავიოქიმის", მაგრამ დაშალა.

ვიდრე პიონერთა მუშაობის აღწერას შევუდგებოდე, მინდა აღვნიშნო მათი უკიდურესი სიღარიბე.

ფულზე ლაპარაკიც არ შეიძლება,—გვაცნობებენ პიონერები.-ჩვენ ვიღებთ თვეში 3 მანეთს. ამ მცირე თანხით ვყიდულობთ ქაღალდს, მუყაოს და კანაფს კედლის გაზეთისა და ასაკინძავი სახელოსნოსათვის. ამავე თანხით ვყიდულობთ აგრეთვე სხვადასხვა მასალას ხელსაქმისა და რადიო წრისათვის. უფულობის გამო ჩვენი მუშაობა მეტისმეტად ფერხდება,—დასძენენ პიონერები.

მაგრამ მაინც, მიუხედავად ყველა სიძნელისა, არ შეიძლება არ აღინიშნოს ის ენერგია და ის სიყვარული, რომელსაც იჩენენ პიონერები თავიანთი წრეებისადმი. წრეები ანდამატივით იზიდავენ მუშაობისაკენ, თავს აყვარებენ.

ამჟამად კოლექტივებს გამართული აქვს ორი რადიო-მიმღები.

მშობლებისაგან უზალთუნების გამოთხოვით და საკუთარი ჯიბის მცირე თანხებიდან ეკონომიის გაწევით, თითო-თითო ხრახნის მიმატებით, პიონერებმა მოაწყეს რადიო-მიმღებები და ამჟამად პირდაპირ შეუძლებელია გადმოცემა იმ სიხარულის, რომელსაც განიცდიან პიონერები, როდესაც ყურთან იმაგრებენ სასმენ მილებს და სიამოვნებენ რადიო-გადმოცემებით.

ხელსაქმის წრეში ჩაბმულია ყველა პიონერი ქალი. დამახასიათებელია ის, რომ მათ მიზნად სხვადასხვა სახის ქსოვილთა გამოყენანა კი არ დაუსახავთ, არამედ მხოლოდ აკერებენ და ჰკერავენ ტანსაცმელს, რაც იმის მაჩვენებელია, რომ მათ შეუძლიათ დამოუკიდებლად ცხოვრება, შრომა, თავიანთი თავის მოვლა—დედ-მამის დაუხმარებლად.

პიონერთა ცოცხალი გაზეთი ჰმატებს მათ სახელს და სიამაყეს. არა ერთხელ შეურჩევიათ მასალა და მოუმზადებიათ ახალგაზრდა წრის წევრებს, სხვადასხვა დღესასწაულების დროს არაერთხელ გამოუციათ გაზეთი... საქმე იქამდისაც კი მივიდა, რომ მუშათა კლუბებიც კი იწვევდენ მათ თავიანთ სცენებზე, რამაც წარმოშვა მათში საკუთარი პიონერი-პოეტები, გაჩნდა რვეულები, სადაც პიონერთა მიერ დაწერილია საკუთარი ლექსები და გამოგონებანი.

ვიმეორებ, რომ ყველაზე სასიამოვნო და საუკეთესო ამ მუშაობაში ის არის, რომ ყველაფერი კეთდება სიყვარულით, ხალისით, ყოველგვარი ცულღუტობის გარეშე. ძმურად და შეკავშირებულად მიმდინარეობს მათი მუშაობა. უფროსებს მხოლოდ ის-ღა დარჩენიათ, რომ გაიკვირონ მათი ორგანიზაციულობა და მოფიქრებულობა.

ყოველგვარი სიახლე, მათი ამღელვებელი საკითხები, მომხდარი ამბები, პიონერ-ორგანიზაციის ყოფა-ცხოვრების თავისებურებანი—გადმოცემულია კედლის გაზეთში. რა არ იწერება მათ გაზეთში!... წერილები მათი მუშაობის გამოცოცხლების შესახებ, დამწყები პოეტის ლექსები, პატარა შენიშვნები, ნახატები და კარიკატურები, საკუთარ მხატვართა მიერ დახატული—ყველაფერი ეს მრავალფეროვანად ავსებს კედლის გაზეთს.

სარედაქციო კოლეგია ბევრს მუშაობს მასალების შერჩევასა და დამუშავებაზე; სამაგიეროდ, გაზეთის გამოსვლის შემდეგ ქება-ქებაზე იბნეოდა ახალგაზრდა რედაქტორებზე.

წარსულ ზაფხულში პიონერებმა მოაწყვეს პატარა მოგზაურობა, ბანაკად გაემართენ. ოცდაათმა ბავშმა თავი დაახწია ტფილისის სიცხიან დღეს და მოეწყვენ წა-

ღვერის მშვენივრად ამწვანებულ მიდამოში; ააგეს კარვები, ამართეს დროშა, ბანაკი გადაშალეს.

საბანაკო ცხოვრებაში მრავალი პერსპექტივა იყო, მაგრამ ყველაფრის ასრულება ვერ მოხერხდა, ყოველ შემთხვევაში დადებითია ისიც, რომ პიონერები გაეცნენ საბანაკო ცხოვრებას, ცხოვრობდენ ბუნების წიაღში, დაისვენეს ქალაქის ხმაურისაგან, აღადგინეს დახარჯული ძალ-ღონე.

მაგრამ აქაც ფინანსიურმა სივიწროვემ შეაწუხა ისინი; სამ კვირაზე მეტი ვერ დაჰყვეს მათ ბანაკად და აგვისტოში ქალაქს დაუბრუნდენ; თუმცა ამ გამგზავრებას უქმად არ ჩაუვლია, „წითელყელსახვევიანები" ხშირად იგონებენ იმ საუბრებს, რომელსაც ატარებდენ კოლონთან, იგონებენ ახლომახლო მიდამოებში გასეირნებებს, მეცადინეობას კარვებში და სხვა მრავალ რამეს.

პიონერთა ერთმა ნაწილმა დრო გაატარა სოფლებში. მათი დროს გატარების შესახებ შეიძლება წარმოდგენა ვიქონიოთ იმ მოწმობითაც კი, რომელიც მათ მისცა შორეული სვანეთის თემის აღმასკომმა. ქაღალდის პატარა ნაგლეჯზე სწერია, რომ პიონერები მუშაობდენ სვანეთის ბავშთა შორის, გამოუშვეს ამ მხარეში პირველი კედლის გაზეთი, შველოდენ გლეხებს ველე მუშაობაში, ერთის სიტყვით, სავსებით გაამართლეს პიონერის სახელი.

კოლექტივთა საკრებულო დარბაზში მოსჩანს მრავალი რამე, პიონერთაგან გაკეთებული, აქ არის თვითმფრინავის მოდელიც, პატარა მატარებელიც, მინერალური ქვების კოლექცია, სხვადასხვა პლაკატები და ლენინის კუთხე გულმოდგინედ დალაგებული.

კოლექტივის მოწყობილობა კი ჯერ არ არის კარგი, პიონერებს არა აქვთ რაიმე ხელსაწყოები, ყველაფერს საკუთარი ძალ-ღონით და მოხერხებით შოულობენ. კარგი იქნებოდა განათლების კომისარიატი დახმარებოდა მათ.

კოლექტივებისათვის მეტად მტკივნეული საკითხია იმ პიონერთა კავშირში გადაცემა, რომელთაც მიახწიეს შესაფერის ასაკს. პიონერები იმდენად შეეჩვიენ თავიანთ ორგანიზაციას და ამხანაგებს, რომ წინამძღოლისთვის დიდ სიძნელეს წარმოადგენს დააჯეროს ასაკგადასული პიონერი, რომ უკვე აუცილებელია მისი გამოყოფა პიონერთა რიგებიდან.

ამჟამად მათში დიდი გამოცოცხლებაა. ისინი ემზადებიან სრულიად საკავშირო გადასინჯვისათვის. ამ გადასინჯვის შესახვედრად მოსამზადებელი მუშაობის საწარმოებლად მათ მიიღეს 15 მანეთი—მთელი სიმდიდრე პიონერთათვის.

მეტად გაცხარებული მუშაობაა- მზადდება პლაკატები, რადიო-მოწყობილობა, კედლის გაზეთი, ერთი სიტყვით—გამოფენა, საკუთარ ნამუშევართა გამოფენა.

ასე სწავლაში, მუშაობაში და თვითმოქმედებაში მიმდინარეობს ტფილისის დიდი კოლექტივის ცხოვრება.

აქ თქვენ ვერ მოისმენთ „გამარჯვება"—„მშვიდობითს", ამის ნაცვლად მჭექარედ გაისმის:

„იყავ მზად!"—„მზად ვარ!..."

ედ. შმერლინგი.

ქ. ზუგდიდის პიონერ-ორგანიზაციის ოქტომბრის რევოლუციის 10 წლის თავისთვის მზადებაში.

მსოფლიო მშრომელთა უდიდესი დღესასწაულის—ოქტომბრის რევოლუციის 10 წლის თავის—ჩატარებაში აქტიური მონაწილეობა უნდა მიიღონ ოქტომბრის შვილებმა, პიონერ-ორგანიზაციამ.

სწორედ ამ მიზნით ნ. პ. ზუგდიდის სამბიუროს ინიციატივით შესდგა ქ. ზუგდიდში დღესასწაულის ჩამტარებელი კომისია. კომისიას უკვე შედგენილი აქვს გეგმა, რომლის მიხედვითაც უნდა ჩაატაროს ზუგდიდის პიონერ-ორგანიზაციამ, ქალაქის ბავშებთან ერთად, ეს დღესასწაული. მთელი ორგანიზაცია წინასწარ შეუდგა მზადებას ამ დღისათვის. მოწყობილი არის ოქტომბრის რევოლუციის ცალკე ეპიზოდების შემსწავლელი წრეები. ფიზინსტრუქტორის ხელმძღვანელობით მიმდინარეობს ფიზიკური ტანვარჯიში, რომელსაც პიონერები დღესასწაულის ჩატარების დროს შეასრულებენ.

გეგმის მიხედვით, 6 ნოემბერს მოაწყობენ დილას, წაკითხულ იქნება მოკლე მოხსენება ოქტომბრის რევოლუციის ისტორიის შესახებ. დილას დადგმული იქნება წარმოდგენა, რომლისთვის მზადება ახლავე წარმოებს. წარმოდგენაზე მოწვეული იქნებიან ქალაქის მთელი მოსწავლე ახალგაზრდობა, პიონერთა მშობლები და მუშა-მოსამსახურეები. დილას წარმოდგენის გარდა ბავშები წარმოსთქვამენ რევოლუციონურ ლექსებს, შეასრულებენ რევოლუციონური შინაარსის სიმღერებს, რევოლუციონურ თამაშობათ, რომლისთვისაც ახლა წარმოებს ბავშების მომზადება. მოეწყობა შეჯიბრები მოდელებზე, რომელსაც პიონერები თვითონ აკეთებენ. 6 ნოემბერს საღამოს ბავშები გამოვლენ ტანვარჯიშული გამოსვლებით, ჩირაღდნებით, რისთვისაც წინასწარ შეძენილია საჭირო ნივთები. 7 ნოემბერს კი პიონერ-ორგანიზაცია გამოვა დემონსტრაციაზე განსაკუთრებული ფორმით და მიტინგზე პიონერთა წარმომადგენლის მიერ წარმოთქმული იქნება მისასალმებელი სიტყვა.

ამგვარად ზუგდიდის პიონერ-ორგანიზაცია მხურვალე მონაწილეობას მიიღებს ამ დღესასწაულის ღირსეულად ჩატარებაში.

ი. შამუგია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ოცდამეექვსე კოლექტივის მუშაობა სამხედრო კუთხეში.

(მე-3 რაიონი).

ს. ს. რ. კ. თავდაცვის კვირეულის ჩატარების დროს ჩვენმა კოლექტივმა სამხედრო კუთხის გახსნა გადასწყვიტა. ვიშოვეთ 2 პლაკატი „გაზამცდენებზე", ამოვჭერით გაზეთებიდან ზოგიერთი ნახატი, ვიშოვეთ სხვადასხვა მასალა ქვეყნის თავდაცვის შესახებ და შევქმენით პატარა სამხედრო კუთხე.

ეს მუშაობა კიდევ უფრო განვამტკიცეთ ბანაკად. იქ ვატარებდით სამხედრო თამაშობებს: წითლები და თეთრები, რაც დიდი წარმატებით ჩატარდა. გასამხედროების მიზნით ვატარებდით მორიგეობას, რაც პიონერებმა კარგად შეასრულეს. იქვე იქნა დაარსებული პირველი დახმარების წრე, სადაც შევისწავლეთ, თუ როგორ უნდა დაჭრილ სხეულს მოვლა, თუ როგორ უნდა შეხვევა სხეულის გატეხილ ნაწილს, როგორ უნდა შეწყდეს სისხლის დენა და სხვ. ახლა ვაფართოვებთ კუთხეს, დავავალეთ პიონერებს გააკეთონ სასროლები, რის შემდეგაც შევისწავლით სროლას. ვფიქრობთ დავშალოთ შაშხანა მისი ნაწილების შესწავლის მიზნით. ახლო მომავალში დავიწყებთ ტოპოგრაფიის შესწავლას. ვიწყებთ „გაზამცდენების" დამზადებას.

პიონერი **გიორგი.**

რა გავაკეთეთ ჩვენ კოლექტივის მუშაობის გაცხოველებისათვის.

(მე-3 რაიონი).

კოლექტივის ერთ სხდომაზე კოლექტივის მუშაობის გამოცოცხლების მიზნით დავადგინეთ კუთხეების მუშაობა გავანაწილოთ პირადი თანხმობით, ვის რომელ კუთხეში სურს მუშაობა. მართლაც, ამან გააცოცხლა მუშაობა. მსურველებმა მაშინვე დაიწყეს მუშაობა, უკვე ყველამ დასახა გეგმა, თუ სად იქნება მისი კუთხე და როგორ იქნება მოწყობილი. ვფიქრობთ ყველა სამუშაო მოვათავოთ 20 ოქტომბრისათვის. ის კუთხეები, რომელნიც პირველად იხსნებიან, ზეიმით გაიხსნებიან ოქტომბრის ათი წლის თავისათვის. პიონერი **მარგო.**

როგორ მოვაწყეთ ჩინეთის კუთხე.

(მე-3 რაიონი).

კოლექტივის ერთ მეცადინეობაზე, როცა ჩვენ ვატარებდით კონკრეტულ დავალებას ჩინეთის შესახებ, ერთ რგოლს დაევალა ჩინეთის კუთხის მოწყობა. რგოლი მაშინვე შეუდგა მუშაობას. პიონერებმა დაიწყეს მასალის შეგროვება ჩინეთის ამბებზე, ამოსჭრეს სურათები გაზეთებიდან, ჟურნალებიდან, რომელნიც ახასიათებდენ ცხოვრების და მუშაობის სხვადასხვა მომენტებს, რევოლუციონურ მოძრაობას ჩინეთში და სხვ. ვიშოვეთ ქაღალდის დიდი ფურცელი და დავიწყეთ მასალების დაწებება პლაკატების სახით. ახლა ვფიქრობთ კუთხის გაფართოებას, ჩინური ტანსაცმელის შეკერვას და სხვ. ყველა ეს დავავალეთ ჭრა-კერვის წრეს. ოქტომბრისათვის კუთხე ზეიმით იქნება გახსნილი.

პიონერი ქალი **აიკუშ ტ.**

როგორ უნდა წაიკითხოთ წიგნი?

ბევრი პიონერი ფიქრობს, რომ წიგნების კითხვა მეტად ადვილი საქმეა, ოღონდ საჭიროა სურვილი გვქონდესო. ამიტომ ისინი ყოველგვარი წესის გარეშე კითხულობენ წიგნებს. ასეთი მოქმედება და დამოკიდებულება წიგნისადმი არ არის სწორი. წიგნების კითხვასაც აქვს თავისი წესები. ამ წესებს კარგად უნდა იცნობდეს თვითეული პიონერი, თვითეული ბავშვი.

უნდა ვეცადოთ ვიკითხოთ ყოველდღე.

თუ შენ დღეს წაიკითხე წიგნი, ხოლო შემდეგ კი მთელ კვირას არ აიღე ხელში, ასეთი კითხვა ვერ მოგიტანს სარგებლობას. უნდა შეეცადო ყოველდღე დაგრჩეს ცოტა დრო მაინც, რომ სისტემატიურად წაიკითხო წიგნი.

არ უნდა წაიკითხო დაღლამდე.

წიგნი უნდა იკითხოთ მანამდე, სანამ ადვილად და კარგად ითვისებ წაკითხულს. თუ თავში აგერევა აზრები, უმჯობესია დაანებო კითხვას თავი და დაისვენო, თორემ ის, რაც წაიკითხე დაღლილი გონებით, ხვალისათვის, შემდეგისათვის აღარ დაგამახსოვნდება.

რისთვის იღებ შენ წიგნს?

როდესაც ირჩევ წიგნს, წინასწარ კარგად უნდა მოიფიქრო, თუ რას გამოელი მისგან: 1) გინდა დაისვენო და გაერთო, 2) დამუშაო სკოლის ან პიონერ-კოლექტივის დავალებები, თუ 3) გინდა მიიღო ცნობები საინტერესო საკითხის შესახებ. წიგნის ასეთ ამორჩევას დიდი მნიშვნელობა აქვს. ეს კარგად უნდა დაიმახსოვნოს ყოველმა მკითხველმა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

როგორ უნდა ამოირჩიო წიგნი?

სანამ წიგნის წაკითხვას დაიწყებდე, კარგად უნდა გაიგო, უდგება თუ არა ის შენს მიერ დასახულ გეგმას: წაიკითხე შინაარსი, შეეკითხე ამხანაგებს და ბიბლიოთეკას, თუ რა აზრისა არიან ამ წიგნის შესახებ.

ჩვენი ჟურნალის („პიონერის") განსაკუთრებულ განყოფილებაში, რომელსაც ეწოდება „რა უნდა ვიკითხოთ" ხშირად იბეჭდება თვითეული საბავშო წიგნის შეფასება და გარჩევა. შეეცადე თვალყური ადევნო მას.

ადვილი და რთული წიგნი.

ნუ შეეცდები უცბად წაიკითხო მეტად რთული და ძნელად გასაგები წიგნი: არაა კარგი, რომ კითხვის დროს მეტისმეტად დაჭიმო გონება და ყურადღება იმის გასაგებად, რაც წერია წიგნში.

ასეთი მუშაობით ძლიერ მალე იღლება ადამიანი. ან კიდევ ხდება საწინააღმდეგოც: ხშირად ძნელად გასაგებ და რთულ წიგნს ზერელედ წაიკითხავენ—ესეც დაუშვებელი მოვლენაა: ამ გზით შეეჩვევი ზერელე და უნაყოფო კითხვას.

როგორ უნდა წაიკითხო?

იკითხე ნელა, ყურადღებით და დაფიქრებით. ამოიწერე გაუგებარი სიტყვები; გაუგებარი წინადადებები რამოდენიმეჯერ წაიკითხე; არ გადახვიდე წიგნის შემდეგ ფურცელზე, სანამ ჯერ კიდევ კარგად არ გაქვს შეთვისებული წინა წაკითხული.

იფიქრეთ წიგნის შესახებ.

წიგნი ზერელედ კი არ უნდა გადაათვალიერო, უნდა იფიქრო მის შესახებ. იმის მიხედვით, რაც გინახავს, გაგიგონია და გამოგიცდია,—გამოსცადე, შეადარე წიგნი: ყველაფერი, რაც მასში წერია, არის თუ არა მართალი, ან, შეიძლება, შენ არ ხარ რაიმეს მომხრე, რაც წიგნში სწერია, შეიძლება ცხოვრებაში შენ ის სხვაგვარად გინახავს.

რა მოგცა შენ წიგნმა?

წაკითხვის შემდეგ გამოსცადე შენი თავი: მოგიტანა თუ არა წიგნმა შენ ის სარგებლობა, რასაც შენ მისგან მოელოდი.

თუ შენ გართობა გინდოდა, საკმაოდ საინტერესო იყო თუ არა ეს წიგნი.

თუ შენ გინდოდა სასკოლო ან კოლექტივის დავალების დამუშავება,—დაგეხმარა თუ არა შენ წიგნი, მოგცა თუ არა საჭირო ცნობები და სხვ.

დაუკავშირე წიგნი ცხოვრებას.

არ უნდა იფიქრო, თითქოს ცხოვრება ცალკე იყოს და წიგნს მასთან არავითარი კავშირი არ ჰქონდეს. წიგნში აღწერილია მრავალი ათასეული ადამიანის ცხოვრება, აზრები, შრომა, სიხარული და გაჭირვება, ბრძოლა, გამოგონებანი და სხვ.

თუ შენს წინაშე წამოიჭრება რაიმე საკითხი, მისი პასუხი წიგნებში უნდა მონახო. ისინი მოგცემენ შენ სათანადო პასუხს.

აგრეთვე შეეცადე წაკითხული წიგნის მიხედვით გააკეთო რაიმე, მაგ. როსტოვში (ჩრდილოეთ კავკასიაში) არის ბიბლიოთეკა ერთ-ერთ ქარხანასთან. ამ ბიბლიოთეკიდან წაღებული და წაკითხული წიგნების მეოხებით ბავშები ბევრ საინტერესო რამეს აკეთებენ. მათ გააკეთეს ყოველგვარი მოდელები ორთქლის მანქანების, აეროპლანების, ფიზიკური ხელსაწყოების, აწყობენ მთელ წყება კონკურსებს მფრინავ გველებზე, და ყველაფერს ამას, როგორც ვთქვით, წაკითხული წიგნების მეოხებით ახერხებენ.

დე, ცხოვრებამ მიგითითოს შენ წიგნისაკენ და წიგნი კი თავის მხრივ დაგეხმარება შენ ცხოვრებაში.

წიგნი და თვითგანვითარება.

ხშირად ბავშებს არ აქვთ საშუალება ისწავლონ სკოლაში, ან დაიქირაონ მასწავლებელი, სურთ თვითონ დაიწყონ მეცადინეობა, თვითონ შეავსონ თავისი ცოდნა, ან, როგორც ამბობენ, დაიწყონ თვითგანვითარება.

თვითგანვითარება მდგომარეობს წიგნების რიგის მიხედვით კითხვაში: პირველად ერთი საკითხის შესახებ, შემდეგ მეორესი და სხვ.

ასეთი თვითგანვითარებითი კითხვის გეგმის შედგენის დროს უნდა მიმართო ბიბლიოთეკარს, უნდა გააცნო მას, თუ ყველაზე უფრო რა საკითხი გაინტერესებს.

არ კმარა წიგნის წაკითხვა, საჭიროა წაკითხულის კარგად დამუშავება.

იმისთვ-ს, რომ წაკითხული წიგნი კარგად დაგამახსოვრდეს, საჭიროა მისი დამუშავება რამოდენიმე საშვალებით:

1. წაიკითხო წიგნი და დაათვალიერო სურათები.

2. მოისმინო ის ხმამაღლა კითხვის დროს და შემდეგ ესაუბრო მის შესახებ ამხანაგებს.

3. თუ შეგიძლია, თვითონ დახატე წიგნის შინაარსის მიხედვით სურათები.

4. თუ შეგიძლია, თვითონ გააკეთე წაკითხული წიგნის მიხედვით.

ვის რომელი საშვალება მოსწონს, იმის მიხედვით შეუძლია დამუშავება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საჭიროა გძოონდეს რვეული წაკითხული წიგნების ჩასაწერად.

იმისათვის, რომ ყოველ წიგნში შეგეძლოს მოიგონო და იპოვნო საჭირო წიგნი, კარგია, რომ ჩაიწერო ყველა წაკითხული წიგნი განსაკუთრებულ დღიურ რვეულში. ეს რვეული შემდეგგვარად უნდა დახაზოთ:

რვეული წაკითხული წიგნების ჩასაწერად.

როდის დაიწყე კითხვა.	როდის გააოთავე კითხვა.	წიგნის ავტორი და სახელწოდება.	მოკლე შინაარსი.	გაუგებარი სიტყვები.	ყველაფერია თუ არა გასაგები? დაფიქრებით რომ დაფიქრდებოდა.	რისი გაკეთება შეძლეო ამ წიგნის მიხედვით.	რა მოგცა შენ წიგნმა (ცათობა, ცოდნა და სხვ.).

საჭიროა ყველა ის პირობა, რომელიც არის ჩამოთვლილი, გულდასმით წაიკითხოს თვითეულმა ბავშმა, კარგად დაიმახსოვნოს ყველა ის საკითხი, რომელიც აუცილებელია წიგნის კითხვისა და დამუშავებისათვის.

სხვა საკითხებს, რომლებიც წიგნის კითხვასთან არის დაკავშირებული, შემდეგ გავარკვევთ.

აგრეთვე სასურველია, რომ ბავშებიც შეგვეკითხონ ამ საკითხის შესახებ, რაც სურთ; რედაქცია სიამოვნებით უპასუხებს მათ.

მასწავლებელი.

ოქტომბრის ზეიმი.

სიტყვები კ. ლორთქიფანიძის. მუსიკა ა. ფარცხალაძის.



ჩვენ მოვდივართ, მტკიცეა
ნაბიჯების ხმაური,
სიხარულით გვიელავს
მზით გამთბარი თვალები;
მოგვაქვს გამარჯვებულებს
ძმობა და სიყვარული,
გვსურს დავანთოთ ქუჩებზე
შვება-ლხინის ალები.

ვის არ ახსოვს დღეები
მწუხარების მთოველი,
როცა ბედმა გაგვრიყა
ამ ცხოვრების გარეშე!..
დრო გავიდა, ბრძოლებით
მჩაგვრელებზე მოველით,
შეგვიყვარდა გრიგალი
და გრიგალთან თარეში.

უკანასკნელ ბრძოლისთვის
აღსდგა მონა მშიერი,
დაგროვილმა ბოლმებმა
ფრთა გაშალა ელვარე,



კიდით-კიდე გაისმა
მოწოდება ძლიერი, —
და მეფეთა ქვეყანას
ცეცხლი გადავაფარეთ.

როგორც ცეცხლის ფრინველი,
ჩამოფრინდა მიწაზე
ძლევის მახარობელი
ოქტომბერი ფრთიანი;
ჩვენი ბედის დამხსნელად
მხოლოდ ბრძოლა ვიწამეთ, —
და ბრძოლამ მოგვიტანა
დღენი ნათელმზიანი.

ჩვენ ცხოვრების მეუფედ
შრომა გამოვაცხადეთ,
დავამყარეთ ერთობა,
მოვსპეთ შუღლი ერებში,
ხალხს თვალებზე სიბნელის
მძიმე ფარდა ავხადეთ, —
და ქვეყანა გავხვიეთ
სიხარულის ფერებში.

ჩვენ მოვდივართ, მტკიცეა
ნაბიჯების ხმაური,
სიხარულით გვიელავს
მზით გამთბარი თვალები;
მოგვაქვს გამარჯვებულებს
ძმობა და სიყვარული,
გვსურს დავანთოთ ქუჩებზე
შვება-ლხენის ალები.

ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ
ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘ

როგორ ემზადება ინგლისი ომისათვის.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ინგლისის კაპიტალისტები დიდი ხანია კბილებს ილესენ საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ. ჩვენ ბევრი გვაქვს რკინა, ნახშირი, ნავთი, ხე-ტყე, ბამბა, პური და სხვა სიმდიდრე, ინგლისის ბურჟუაზიას კი სურს წაართვას ყოველივე ეს ჩვენი კავშირის მუშებსა და გლეხებს.

მაგრამ მარტო გაუმაძღარი სიხარბე კი არ ხდის მათ საბჭოთა რუსეთის მტრებად.

ინგლისის ბურჟუაზიას სურს სისხლში ჩაახრჩოს რუსეთის რევოლუცია, მას სურს მოსპოს საბჭოები, რომ ინგლისის მშრომელებმა ვერ შესძლონ ჩვენ წაგვბაძონ. გარდა ამისა, ინგლისის კაპიტალისტებს უნდათ მოსპონ რევოლუციის კერა, დაიბრუნონ მეფური მთავრობის მიერ აღებული სესხი და ის ფაბრიკა ქარხნები და მიწები, რომლებიც მათ ჩამოერთვა ოქტომბრის რევოლუციის დროს.

აქვე აღსანიშნავია შემდეგიც: ინგლისის კოლონიებს შორის მთავარი და ყველაზე მდიდარი არის ინდოეთი. იქ ცხოვრობს 315 მილ. მცხოვრები (8-ჯერ მეტი, ვიდრე თვით ინგლისში). მისი ზედაპირი უდრის 4.500 მილიონ კვ. კილომეტრს (დიდბრიტანეთის კუნძულზე 20-ჯერ მეტი).

ინდოეთიდან ინგლისის ბურჟუაზიას გამოაქვს ხორბალი, ბრინჯი, ჩაი, ყავა, შაქრის ლერწამი, თუთუნი, ბამბა, რკინა, თითბერი, ტყვია, ვერცხლი, ოქრო, ძვირფასი ქვები და სხვა.

მთელი ვაჭრობის ერთ მესამედს ინგლისი ინდოეთთან აწარმოებს. ინდოეთი რომ განთავისუფლდეს, ინგლისს მოაკლდება თავისი სიმდიდრის დიდი ნაწილი. ამიტომ გასაგებია, თუ რათ ცდილობს ინგლისი ინდოეთის შენარჩუნებას.

დიდია საბჭოთა კავშირი. ჩვენ გვაქვს ციხე კუშკა. აქედან ინდოეთამდე შორს არ არის. დიდბრიტანეთი კი ინდოეთიდან შორს არის, ძლიერ შორს. 24-დღე-ღამის მოგზაურობაა ზღვაზე საჭირო, რომ დიდბრიტანეთიდან ინდოეთში მოხვდეთ.

ამიტომაც ეშინიათ ინგლისის კაპიტალისტებს, რომ „ბოლშევიკური სენი" ს. ს. რ. კ-დან არ გადაედოს ინდოეთს. ეშინიათ, ბოლშევიკებმა არ მოახდინონ ინდოეთში რევოლუცია.

ინდოეთის გარდა ინგლისს კიდევ აქვს კოლონიები: ავსტრალია, კანადა, ეგვიპტე და სამხრეთ-აფრიკის კავშირი. ყველა საქონლის ორ მეხუთედს დიდბრიტანეთი ყიდულობს თავისი კოლონიებისგან. ინგლისისათვის მათი ჩამოშორება ინგლისის კაპიტალისტების ბატონობის მოსპობას ნიშნავს.

საბჭოთა კავშირი არის ლამპარი, რომლისაგან შეიძლება ინგლისის კოლონიებში რევოლუცია გაჩაღდეს. ცხადია, ინგლისის ბურჟუაზიას სძულს საბჭოთა კავშირი და სურს მისი მოსპობა.

ძლიერ ბევრს ხარჯავენ ინგლისის მშრომელნი ჯარის შესანახად. მრავალი მშიერის დაკმაყოფილება შეიძლებოდა იმ ფულით. ამ ხარჯებს კიდევ აიტანდა ასე თუ ისე მშრომელი ხალხი, რომ არმია იცავდეს მშრომელთა ინტერესებს, მაგრამ, სამწუხაროდ, ეს ასე არ არის. არმია ბურჟუაზიისაა, მისი შენახვა კი მშრომელებისკისერზეა. აი რამდენი დახარჯა ინგლისმა არმიაზე 1924/25 წელს:

ხმელეთის ჯარზე	450.000.000 მან.
საჰაერო ფლოტზე	145.000.000 „
არმიებზე კოლონიებში . .	56.860.000 „
საზღვაო ფლოტზე	558.000.000 „
სულ	1.209.860.000 მან.

სულ იმავე წელს ინგლისმა დახარჯა—განათლებაზე, საავადმყოფოებზე და სახელმწიფო მოსამსახურეთა ჯამაგირზე და სხვ.—7.851.747.000 მან. მაშასადამე, არმიაზე მან დახარჯა მთელი გასავლის $^1/_6$. თითოეული კოლონია თვითონ იხანავს მასში მყოფ ჯარს, დანარჩენ ჯარებს კი ინახავენ დიდბრიტანეთის მცხოვრებნი. გამოდის, რომ თითოეულმა ინგლისელმა გადაიხადა 25 მანეთი ჯარის შესანახად. ჩვენში იმავ წელს თითოეულმა მოქალაქემ გადაიხადა ჯარისთვის 3 მანეთი. ჩვენ გვინდა მშვიდობიანობა და ამიტომ ნაკლებს ვხარჯავთ არმიაზე. ინგლისი კი ემზადება ომისთვის და, რა თქმა უნდა, მეტსაც ხარჯავს.

მკითხველს ერთის შეხედვით საშიშრად მოეჩვენება ინგლისის შეიარაღებული ძალები. მას დაებადება ეჭვი—განა გაუძლებს საბჭოთა კავშირი ომს ინგლისთან?

მაგრამ ჩვენ უკვე გვქონდა ომი ინგლისთან და მან ვერ შესძლო ჩვენი დამარცხება. ის ჰგზავნიდა ჩვენს წინააღმდეგ თეთრგვარდიელებს, რომლებიც ჩვენ განვდევნეთ. ინგლისმა ვერაფერი დაგვაკლო, რადგან ჩვენ ძლიერი მეგობრები გვყავს ინგლისში. ამ მეგობრებმა აიძულეს ინგლისის ბურჟუაზია ჩვენთან ომი შეეწყვიტა.

ვინ არიან ეს მეგობრები? რასაკვირველია, ინგლისის მუშები და გლეხები.

ინგლისის კაპიტალისტები კბილებს ილესავენ საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ, მათ სურთ ჩვენი ნედლი მასალის ხელში ჩაგდება. მათ სურთ რევოლუციის კერის მოსპობა, მაგრამ ვერაფერს დააკლებენ საბჭოთა კავშირს: მათ ხელს შეუშლიან ჩვენი მეგობრები—ინგლისის მშრომელნი.

1920 წელს ინგლისის კაპიტალისტებს უნდოდათ დახმარებოდენ პოლონელებს ჩვენს წინააღმდეგ. მათ უნდოდათ გამოეგზავნათ პოლონეთისთვის გემები, ჯარი, ფული და სხვა. ეს გაიგეს ინგლისის მუშებმა. უპირველეს ყოვლისა იმათ დააარსეს „მოქმედების საბჭო". ეს „მოქმედების საბჭო" უნდა მომზადებულიყო ბურჟუაზიასთან საბრძოლველად. აი რას მოითხოვდენ მაშინ ინგლისის მუშები თავისი კაპიტალისტებისაგან:

1) არ გაეგზავნათ ინგლისის ჯარი არც პოლონეთის, არც ვრანგელის და არც საბჭოთა ხელისუფლების სხვა მტრის დასახმარებლად. 2) დაიბრუნებიათ რუსეთიდან ინგლისის ყველა სამხედრო ძალა, რომლებიც ეხმარებოდენ თეთრ გენერლებს. 3) ეცნოთ საბჭოთა მთავრობა და დაეწყოთ მასთან ვაჭრობა.

ყველაფერს ვერ მიახწიეს ინგლისის მუშებმა, მაგრამ ბურჟუაზია მაინც დიდ დათმობაზე წავიდა. ინგლისს არ გაუგზავნია დამხმარე ჯარი არც პოლონეთისათვის და არც თეთრი გენერლებისათვის. 1921 წლის დასაწყისში ინგლისის უკანასკნელმა ჯარებმა დასტოვეს რუსეთი.

ინგლისში ჩვენ ბევრი მეგობარი გვყავს. ინგლისისა და კოლონიების ყველა მუშა და გლეხი ჩვენი მეგობრებია. ეს მეგობრები ძლიერნი არიან. არა ერთხელ დაგვხმარებიან ისინი ბრძოლაში თავისი ბურჟუაზიის წინააღმდეგ და მომავალშიაც დაგვეხმარებიან.

ცუდი დღე დაადგებათ ინგლისის კაპიტალისტებს, ჩვენ რომ ომი გამოგვიცხადონ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გამოდის 1927 წ. გამოდის

ორკვირეული საყმაწვილო დასურათებული ჟურნალი

მოზრდილთათვის

პიონერი

წელიწადი II

ჟურნალი ს. ს. ს. რ. ყველა სკოლისათვის სავალდებულოა.

ლენინის სახელობის საქართველოს ბავშთა კომუნისტური ჯგუფების ყოველი წევრის, ორგანიზაციის ყოველი კოლექტივის, ბავშთა კომუნისტური მოძრაობის თვითეული ხელმძღვანელის, ბიბლიოთეკების და სამკითხველოების ვალდებულებაა გამოიწერონ

პიონერი

მიიღება ხელმოწერა 1927 წლისათვის.

ჟურნალი ღირს გადაგზავნით:

წელიწადში	5 მან.
ექვს თვეს	3 მან.
სამ თვეს	1 მან. 50 კაპ.

ცალკე ნომერი—25 კაპ.

მისამართი: ტფილისი, რუსთველის გამზირი, № 23, სახელგამი (მესამე სართული). „პიონერი"-ს და „ნაკადული"-ს რედაქცია.

ელსმენი—23—16

რედაქტორი—სარედაქციო კოლეგია.

ტფილისი—25/X—27. ს. ს. მ. უ. ს. პოლიგრაფტრესტის 1-ლი სტამბა. პლეხ. პრ. № 91.

მთავარლიტი № 1833. შეკვ. № 92. ტირაჟი 1000.